

645/2
1988

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე, (პ. მგ. მდივანი) ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ქვანია, კეტრე ქლენტი, ცინარა ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნადეჟდა შალუტაშვილი, ლუბა შენირული, ნინო ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — კინორეჟისორი ნანა ჯორჯაძე
დავით იაკობაშვილის ფოტო

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

8 მარტი
ქალთა დღეა

გილოცავთ,
ძვირფასო
ქალებო!



„რობინზონიადას" გადაღებისას რეჟისორი ნანა ჯორჯაძე, ოპერატორი ლევან პაატაშვილი

# დიდი აღიარება

18723

თანამედროვე მსოფლიოს კინოსამყაროში ქართული კინო რომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების ამგვარი აღზევება შემთხვევითი როდია. მდიდარ ტრადიციებზე დაფუძნებულმა „ქართული კინოს ფენომენმა" გარკვეულ მწვერვალებს 80-იან წლებში მიაღწია. უფროსი თაობის ხელოვანთა ნაკვალევზე იმძლავრა ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, რომლის ერთერთი ღირსეული წარმომადგენელია ნანა ჯორჯაძე.

მახსენდება გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში" დასტამბული ერთი წერილი, სადაც გაზეთის კორესპონდენტები დასძენდნენ: „ვნახეთ რამდენიმე მხატვრული ფილმი, რომლებიც ჯერ არ გასულა ფართო მაყურებლის სამსჯავროზე; ალბათ სხვადასხვაგვარად შეფასდება ა. რეხვიაშვილის „საფეხური", ლ. ღოღობერიძის „ორომტრიალი", ნ. ჯორჯაძის „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა", მაგრამ ერთი რამ უდავოა — ეს ფილმები გადაღებულია არა უბრალოდ ნიჭიერი ადამიანების მიერ, არამედ იმათ მიერ, რომლებიც პატივს სცემენ თავიანთ ხელოვნებას და თავიანთ მაყურებელს. მათ პატიოსანი, მკაფიო მოქალაქეობრივი პოზიცია აქვთ".

დიახ, დღეს ნანა ჯორჯაძეს იხსენიებენ დიდი ავტორიტეტების გვერდით. მის ფილმებს უჩვენებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, წერენ ბევრს, ძალიან ბევრს, როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთ... ახალგაზრდა რეჟისორის ასეთი დიდი აღიარება ერთბაშად მოხდა.

სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა ნანა ჯორჯაძემ 1980 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (თ. აბულაძისა და ი. კვირიკაძის სახელოსნო). მისმა პირველმა ფილმმა „ატლანტი", რომლის სცენარის ავტორი, რეჟისორი, მხატვარი და ერთ-ერთი როლის შემსრულებელი თვითონვე იყო, ტალინში გამართულ საკავშირო ახალგაზრდულ კინოფესტივალზე მთავარი პრიზი დაიმსახურა.

დიდ კინემატოგრაფიაში მოსვლამდე ნანა ჯორჯაძემ თავისი პირველი მოკლემეტრაჟიანი სადიპლომო ფილმი „მოგზაურობა სოპოტში" გადაიღო. აღსანიშნავია, რომ ნ. ჯორჯაძე იყო პირველი იმ რეჟისორთაგანი (ბიძინა ჩხეიძე, გურამ პეტრიაშვილი, გოდერძი ჩოხელი), რომლებმაც თავიანთი პირველი დამოუკიდებელი ფილმი გადაიღეს ახლადდაარსებულ „დებიუტში".

ეს იყო 1980 წელს.

ფილმი „მოგზაურობა სოპოტში", როგორც „დებიუტის" ყველა ფილმი ფართო ეკრანზე არ გასულა. 1987 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის დღეებში იგი ნახა ობერჰაუზენის საერთაშორისო კინოფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ჰანს შლეგელმა და აქედან მოყოლებული ეს ფილმები ყოველ წელს მონაწილეობდა ფესტივალებში.

1987 წელს, როგორც იქნა, მოხერხდა ამ ფილმის ობერჰაუზენის საკონკურსო პროგრამაში ჩართვა და ამ საერთაშორისო ფესტივალის ისტორიაში მოხდა სენსაციური რამ — ნანა ჯორჯაძის „სოპოტმა" ფესტივალის ხუთი პრიზი დაიმსახურა: „გრან-პრი" — მთავარი პრიზი, „ტილ ულენშპიგელის" პრიზი სატირისა და იუმორისათვის, ვატიკანის ევანგელისტების პრიზი, საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ჟიურის დიპლომი და კინოკლუბების ინტერნაციონალური ფედერაციის პრიზი.

გასული წელი დაუვიწყარი იქნება არა მარტო ახალგაზრდა რეჟისორისთვის, არამედ მთელი ქართული კინოსათვის. რადგან ობერჰაუზენში მოპოვებულ დიდ წარმატებამდე ცოტა ხნით ადრე, ქალაქ სვერდლოვსკში გამართულ დებიუტების IV საკავშირო კინოფესტივალზე ნანას პირველმა სრულმეტრაჟიანმა ფილმმა „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" დაიმსახურა ფესტივალის პრიზი და დიპლომი — „საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის". ობერჰაუზენიდან დაბრუნების შემდეგ გავიდა სამი დღე და ნანა ჯორჯაძის „რობინზონიადამ" კანის მე-40 საერთაშორისო საიუბილეო კინოფესტივალზე „ოქროს კამერა" დაიმსახურა.

— კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ნანა ჯორჯაძემ, — ჩვენება ოთხი პროგრამით მიმდინარეობდა: დებიუტის ფილმები, პროგრამა „განსაკუთრებული ხედვა", რეჟისორების ორკვირეული, „ფიპრესის" (კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია) პროგრამა. ბატონ თენგიზ აბულაძის და ჩემი ფილმის გარდა აქ წარმოდგენილი იყო კიდევ ორი საბჭოთა ფილმი — ალექსანდრე კაიდანოვსკის „ჩვეულებრივი სიკვდილი" და კონსტანტინე ლოპუშანსკის „მკვდარი კაცის წერილები" (ამ ფილმს თბილისში გამართულ XX საკავშირო კინოფესტივალზე ჟიურის პრიზი მიენიჭა) პროგრამით გათვალისწინებულ კონკურსში სულ 181 ფილმი მონაწილეობდა.

კანში, ჩვეულებრივ, მსოფლიოში ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, კინომოღვაწეები, კრიტიკოსები და ჟურნალისტები იყრიან თავს. ფესტივალზე დასწრება



კადრი ფილმიდან „რობინზონიადა"



კადრი ფილმიდან „მოგზაურობა სოპოტში"



კადრი ფილმიდან „რობინზონიადა"

სასიამოვნოა. მონაწილეობა კი საამაყო და პასუხსაგები...

ფესტივალის დროს კანში იმართება კარნავალები, მსვლელობები. სანაპიროზე უამრავი „ამომავალი" თუ „ჩამავალი" ვარსკვლავი, ცნობილი და სახელმოხვეჭილი რეჟისორი სეირნობს.

ფესტივალის დღეებში ძალიან ბევრს წერდნენ „მოხანიების" შესახებ, ბატონ თენგიზზე, ავთანდილ მახარაძეზე. იყო პროგნოზი, რომ სწორედ მას უნდა აეღო პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. რაც შეეხება „რობინზონიადას", ძალიან მაღალი შეფასება მისცეს ოპერატორ ლევან პაატაშვილის ნამუშევარს, — დასძენს ნანა ჯორჯაძე.

კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ექო დღესაც გრძელდება. აგერ უკვე თითქმის ერთი წელია, რაც საზღვარგარეთის პრესა კვლავაც აღფრთოვანების წერილებს აქვეყნებს ნანა ჯორჯაძის ფილმზე. „სოპოტის" და „რობინზონიადას" ჩვენება დაგეგმილია სხვადასხვა ქვეყნებში მოსაწყობ საბჭოთა და ქართული კინოს კვირეულებში, რეტროსპექტივებში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გასული წელი კიდევ იმითაც იყო ნანასათვის ღირსსახსოვარი, რომ მისი მეუღლის, ცნობილი ქართველი კინორეჟისორის ირაკლი კვირიკაძის ფილმმა „მოცურავემ" იტალიის ქალაქ სან-რემოს 30-ე საიუბილეო საერთაშორისო კინოფესტივალზე „გრანპრი" დაიმსახურა.

დროის გარკვეულ მონაკვეთში ამდენი სიხარული, მართლაც, რომ ზომაზე მეტია...

— მე მაშინ გაოგნებული ვიყავი, გაოგნებული და დაბნეული. ჯერ ობერჰაუზენში, როდესაც დაჯილდოების ცერემონიალზე პირველად გავიგონე ჩემი გვარი, დაბნეულმა ძლივს მივაგენი საკუთარ ადგილს. მეორედ, მესამედ, და ბოლოს შევცბი — ხომ არ მეჩვენება მეთქი მღელვარებისაგან.

კანის კინოფესტივალზე კი: ვდგავარ მე, ქართველი რეჟისორი და ჩემი ფილმი „ოქროს კამერით" ჯილდოვდება.

მე მაშინ უფრო იმათზე ვფიქრობდი, ვისაც ეს გამარჯვება ჩემზე მეტად გაეხარდებოდა.

ასეთი დიდი წარმატებების შემდეგ, ბუნებრივია, ნანას უზარმაზარი პასუხისმგებლობის გრძნობაც დაეუფლა და ახალ ფილმზე მუშაობის დიდი სურვილიც.

— მინდა გადავიღო დოკუმენტური ფილმი თბილისზე, რომელიც უკვე თავიდან ბოლომდე მოფიქრებული მაქვს და რომელსაც... დავარქმევ „დიალოგი დეტალებთან". სამუშაო ჩემი ცხოვრებაა. ვცდილობ ყველაფერზე მსუბუქად, ღიმილით ვილაპარაკო, არ მოვახვიო თავს მოსაუბრეს ჩემი განწყობილება, ვიყო თვითირონიული და არ დავკარგო საკუთარი თავისა და საკუთარი შემოქმედების გვერდიდან დანახვის უნარი.

არასოდეს არ განვსჯი სხვას, არ ვაძლევ თავს ამის უფლებას. ჩემთვის მთავარია ისე ვიცხოვრო, რომ შვილებისათვის თვალებში შეხედვის არ შემრცხვეს.

ასეთია ნანა ჯორჯაძის მოქალაქეობრივი კრედო.

**ბონდო გაგნიძე**

## თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში ბევრი სიახლეა

# ამ ლამაზ შენობაში

**რომ გარდავიქმნათ, მეტი პასუხისმგებლობით უნდა ვცხოვრობდეთ და ვშრომობდეთ, კეთილსინდისიერად, მაქსიმალური ენერგიის დახარჯვით ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას, პირნათელ და პატიოსან მოქალაქეობას ვთხოვდეთ როგორც საკუთარ თავს, ისე ჩვენს ირგვლივ მყოფთ. ეს იმათ ეხება, ვისაც ახლებური აზროვნება და სადღეისო მოთხოვნების შესაფერი შრომა მოეთხოვება. (საბედნიეროდ, განა ყველას სჭირდება გარდაქმნა!) საუბედუროდ კი, ჯერ ბევრ მუშაკს აკლია გულისხმიერება, საქმის სიყვარული, პრინციპულობა, როგორც თავის სამუშაო უბანზე, ისე ადამინებთან ურთიერთობაში. ასეთები მრავლად არიან კავშირგაბმულობის დაწესებულებებში. გამოცდილებით გეცოდინებათ, რამდენი ნერვიულობა და ღელვა შეიძლება შეგვახვედრონ საქალაქთაშორისო სამსახურის მუშაკებმა, მათი უხეშობა, ადამიანის არდაფასება, უგულისყურობა ზოგჯერ საზღვარს სცილდება. ჩვენ ჯერჯერობით კიდევ თავს ვიკავებთ და ვწერთ მხოლოდ გულისხმიერ ადამიანებზე, საქმის მცოდნე და მოვალეობის პირნათლად შემსრულებლებზე. იქნებ მათი მისაბაძი მაგალითი გამოადგეს უხიაგ, უხეშ, უპასუხისმგებლო ტელეგრაფისტს, საკუთარ თავში ჩაიხედოს და სასიკეთოდ გარდაიქმნას.**

ახალი წლის პირველი დღეები იდგა.

სააპარატო საამქროში აღელვებული კაცი შემოიჭრა.

— მე თქვენ გიჩივლებთ, აუცილებლად გიჩივლებთ! გაზეთშიც გაგწერთ და ტელევიზორშიც გამოგჭიმავთ! — სეტყვასავით მოგვაყარა.

სანამ საქმის ვითარებას გავიგებდით, შევეცადეთ დაგვემშვიდებინა, მერე კი დაწვრილებით გამოვკითხეთ ყველაფერი.

აი, თურმე რა ყოფილა: შვილისთვის მოსკოვში მატარებლით საახალწლო ამანათი გაუგზავნია. თან დეპეშით უცნობებია, რომ მატარებელს დახვედროდა. მოხდა ისე, რომ დეპეშამ დროზე არ ჩააღწია ადრესატამდე, ამანათი უკან დაბრუნდა.

უდაოა, მსგავსი შემთხვევა ნებისმიერ ადამიანში გამოიწვევს გულისწყრომასა და აღელვებას.

— მის თვალწინ, იმავე წუთს დავუკავშირდით მოსკოვს, — ყველაფერი გაირკვა. აღმოჩნდა, რომ დეპეშა მიმტანის დაუდევრობით დროზე ვერ მიუვიდა ადრესატს. ხელახალი შეტყობინებაც მაშინვე გავგზავნეთ და წუთის წინ აღელვებული და გაგულისებული კაცი ახლა მადლობასა და ბოდიშს ერთად გვიხდიდა, — იგონებს სააპარატო საამქროს ცვლის უფროსი ნუნუ ხეცურიანი.

დეპეშა. ვინ მოთვლის რამდენი სიხარული და ზოგჯერ გულისტკივილიც მოუტანია ჩვენამდე ამ პატარა, ხელისგულისოდენა ქაღალდს. ადამიანები ხომ ერთმანეთისათვის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეები ვართ. ამიტომ დროულად მიწოდებულ ყოველგვარ ინფორმაციას შეუძლია, სასურველი შედეგი მოჰყვეს, დაგვიანებულს კი პირიქით — სავალალო.

* * *

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი. საქართველოს სატელეგრაფო ქსელის სათაო ორგანიზაცია.

ვათვალიერებთ მის ფართო და ნათელ საამქროებს.

ეს შენობა სულ რამდენიმე წლის წინ გადაეცა საექსპლოატაციოდ. მთლიანად შეიცვალა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული აპარატურა. მძლავრი გამოთვლითი ელექტრონული ტექნიკა მყარად იკიდებს ფეხს თბილისის ტელეგრაფში.

— ელექტრონულ-გამოთვლითი ახალი მანქანების ბაზაზე დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა შეტყობინებათა კომუტაციის ცენტრი, — გვიხსნის მთავარი ინჟინერი ამირან ფოფხაძე, — ამან საშუალება მოგვცა, გადაგვეჭრა ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორიცაა ხელით შრომის ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გულნაზ გელაშვილი — რაციონალიზატორი



ნუნუ ხეცურიანი — ცვლის უფროსი, როზა კოპლატაძე — ბრიგადირი, ლიანა კოჭური — ტელეგრაფისტი.



ნათელა ტაბიძე — პროფკომიტეტის თავმჯდომარე (მარცხნივ) და ჯულიეტა სონღულაშვილი — ინჟინერ-რაციონალიზატორი.

ტომატიზაცია, გაგვეუმჯობესებინა საბოლოო პუნქტების მუშაობის პირობები. დეპეშების სადღეღამისო მიმოცვლა გაიზარდა ორმოც ათასამდე. მოსალოდნელია მისი შემდგომი ზრდა სამოცდაათ-ოთხმოც ათას დეპეშამდე.

— ეს კი ავტომატური სატელეგრაფო-საკომუნიკაციო სადგური „ნიკოლა ტესლაა“, — სიტყვა ჩამოართვა მთავარ ინჟინერს პარტორგანიზაციის მდივანმა თემურ ყიფიანმა, — საერთაშორისო ქსელი, საიდანაც შეიძლება აიკრიფოს საბჭოთა კავშირის ნებისმიერი წერტილი და მსოფლიოს ნებისმიერი კუთხე.

საქართველოს სატელეგრაფო ქსელს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც პირველად გაიხსნა სატელეგრაფო კავშირი — თბილისი, — ქუთაისი, — ფოთი.

დღეს კი სატელეგრაფო ქსელი ინფრასტრუქტურის მიხედვით მეტად რთულია და თითქმის ყველა რაიონს მოიცავს.

იქნებ ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცოდეს, რომ სატელეგრაფო არხებით ხდება ყველა ცენტრალური გამოცემის — გაზეთების ფოტოფირებზე მიღება.

— აპარატულ-პროგრამული კომპლექსის (აპკ) „ტელეგრაფის“ დანერგვამ. რომელიც აგებულია ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის „ელექტრონიკა ნც—32“-ის ბაზაზე, შესაძლებელი გახადა დეპეშების მიღება-გადაცემის პროცესის ავტომატიზირება. შემცირდა დეპეშების გადაცემის დრო სატელეგრაფო ქსელში; გაიზარდა შრომის ნაყოფიერება; გაუმჯობესდა სატელეგრაფო კვანძების მუშაობის ეფექტურობა, — ეს ტელეგრაფის თავკაცის დავით ქავთარაძის სიტყვებია.

ამ სიტყვების სიღრმესა და არსს რომ ჩაწვდე, თავად, საკუთარი თვალით, უნდა ნახო ყველაფერი, რაც აქ, ამ ფართო და ნათელ საამქროებში ხდება.

რიტმულად, საათის მექანიზმივით წიკწიკებენ მანქანა-დანადგარები. უწყვეტ ნაკადად მოდის ციფრებით აჭრელებული თეთრი რულონები. ის პირველი განცდა, რომელიც აქ შემოსვლისას გეუფლება — შიში იმისა, რომ რთულ აპარატურას ქალი როგორ უნდა გაუმკლავდეს—სადღაც ქრება. ისე მოხდენილად და სწრაფად მუშაობენ, იმდენი სიფაქიზეა და მოქნილობაა მათ მოძრაობებში, ძალაუნებურად გაიფიქრებ, ამ საქმისთვის გაჩენილანო.

— ჩვენთან სულ 550 თანამშრომელია, — აქედან დაახლოებით 75 პროცენტი ქალია, თითქოს ჩანაფიქრს მიმიხვდაო, — მიხსნის პროფკომიტეტის თავმჯდომარე ნათელა ტაბიძე.

ქალბატონო ნათელა აქ ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. 32 წელი ერთ ჭერ-ქვეშ, ერთ კოლექტივში არც თუ ისე პატარა დროა.

ქალების ავან-ჩავანიც ხომ ყველაზე უკეთ მან იცის, ამიტომაც გვაცნობს სათითაოდ.

პირველ რიგში კი საპარატო საამქროს ცვლის უფროსთან ნუნუ ხეცურიანთან ჩერდება. ბუნებრივია, მოწინავე ქალი კოლექტივში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ქალბატონი ნუნუ ოთხი შვილის დედაა და, რა თქმა უნდა, ეს დიდად ეამაყება. ერთი მათგანი დედის პროფესიას გაჰყვა.

შემდეგ საწარმოო ლაბორატორიის ინჟინერთან, მოწინავე რაციონალიზატორთან ჯულიეტა სონღულაშვილთან გადავინაცვლეთ. სხვათაშორის, ქალბატონი ჯულიეტა საბონენტო საამქროს სატარიფო მრიცხველებიდან მაჩვენებლების მოხსნის ავტომატიზირებული სისტემის დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორია.

როზა კოპლატაძე საპარატო საამქროში ტელეგრაფისტების ბრიგადირად მუშაობს. კომუნისტური შრომის დამკვრელმა ოცდაათი წელი ამ კოლექტივში გაატარა, თავდადებულად შრომობს და ამიტომაც მოიპოვა მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“.

ახალ ტექნიკასთან დაკავშირებულ სიძნელეებს ადვილად გაართვა თავი კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, შეტყობინებათა ცენტრის ოპერატორმა გულნაზ გელაშვილმა.

გულნაზი კარგად უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და შრომას. იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის სალამოს განყოფილების მესამე კურსის სტუდენტია.

ლუიზა უგრეხელიძე აპარატურის შეკეთებაზე საქმიანობს. პარტიის კალინინის რაიკომის ბიუროს წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი ამავე დროს საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანია.

ერთ პატარა, საჟურნალო წერილში ძნელია ყველა მათგანზე საუბარი. ერთი კი ცხადია, ისინი შეხმატკბილებულად ემსახურებიან მეტად საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს, ილვწიან XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა და გარდაქმნის ყველა მოთხოვნათა შესასრულებლად.

გაწეული მუშაობა გახდა სწორედ იმის საფუძველი, რომ თბილისის ტელეგრაფი მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან გადასულიყო სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის შესახვედრად გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

* * *

ჩვეულებრივი თბილისური ღამეა.

ლამპიონებით გაჩირაღდნებულ რუსთაველის პროსპექტს ამაყად გადმოპყურებს თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ლამაზი შენობა, შუქი კიაფობს მისი ფანჯრებიდან. საათის მექანიზმივით წიკწიკებენ ელექტრონული მანქანები. იცვლება ინფორმაციები, იღებენ და გადასცემენ დეპეშებს.

ღამის ცვლა მთელი დატვირთვით მუშაობს.

ხვალაც საინტერესო და დაძაბული დღე ელით ტელეგრაფისტებს.

ასეა ყოველთვის, როცა შენი საქმე და პროფესია გიყვარს.

ნუნუ კუპრეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩუტა ბერულავა,**
ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქართველოს ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.



ჩვენ ბავშვთა სახლიდან ვართ

# წმიდათაწმიდა საქმე

ამ დღეს შედგა დამფუძნებელი კონფერენცია, რომლის დელეგატებმაც აირჩიეს ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის საქართველოს ორგანიზაციის გამგეობა და სარევიზიო კომისია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პავლე გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გურამ ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვილენ ალავიძე, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, ცნობილი საბჭოთა მწერალი ალბერტ ლიხანოვი...

; ახალშექმნილ საზოგადოებრივ ორგანიზაციას — ლენინის სახელობის საბავშვო ფონდს ამხანაგმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა პარტიის. ხალხის თანაშემწე უწოდა.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ ნორჩი თაობის საკეთილდღეოდ, რომ გავამართლოთ ეს მაღალი სახელი, პირნათლად შევასრულოთ ჩვენი საშვილიშვილო მისია.

მოგვანდეს წმიდათაწმიდა საქმე, მოგვანიჭეს დიდი უფლებები. ახლა ჩვენი ვალია, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს არცერთი ბავშვი, ვისაც დედ-მამის ზრუნვა და ალერსი აკლია. სიკეთემ უნდა შეაშუქოს ყველა მათგანის გულში.

შევუდექით მონდობილი საქმის შესრულებას, რა თქმა უნდა, ჩვენი ღვთისნიერი, გულმოწყალე, გულუხვი ხალხის იმედით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის თანადგომის იმედით. მართლაც, რა სათნო და ქველმოქმედი ადამიანები გვყვანან; საქართველოს საბავშვო ფონდის შექმნიდან ათიოდე დღეც არ იყო გასული, რომ 707-ე ანგარიშზე უკვე 200 ათას მანეთზე მეტი აღმოჩნდა შეტანილი.

დღითიდღე იზრდება ეს თანხა, რომლის ყოველი მანეთი მხოლოდ და მხოლოდ ობოლ, მიტოვებულ, ინვალიდ ბავშვებს უნდა მოხმარდეს.

გვამხნევებს რესპუბლიკის წინამძღოლი გაზეთების „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" მხარდაჭერა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ყურადღება.

სამართლიანობის გრძნობა გვათქმევინებს და არა თავაზიანობა, რომ „საქართველოს ქალი" ბავშვებს წლების მანძილზე დედური სიყვარულით დასტრიალებს თავს.

ძვირფასო ქალებო! საბავშვო ფონდის საქართველოს ორგანიზაციას უპირველეს ყოვლისა ვისი შემწეობის იმედი უნდა ჰქონდეს, თუ არა თქვენი, უკეთ ვინ იგრძნობს ნორჩი ადამიანის სულის მიმორხევას, მის ტკივილსა თუ სიხარულს!

ამიტომ გთხოვთ: თავი ჩასთვალოთ ჩვენი საზოგადოების საპატიო წევრებად, მოგვწეროთ, ნაცნობ ბავშვთაგან ვის უფრო უჭირს, რა უჭირს, გვირჩიოთ, რითი უფრო დავეხმაროთ, რა უფრო გაეხარდებათ!

მითქვამს და ვიმეორებ: სიკეთე სიკეთითვე დაგიბრუნდებათ!

როცა ობლებსა და მიტოვებულებს სიხარულს აგრძნობინებთ, ეს იმას ნიშნავს რომ თქვენი შვილები, შვილიშვილები, ახლობლები სულ მუდამ ბედნიერების გზით ივლიან.

ყველა ბავშვი ბედნიერი უნდა იყოს!

ამას დედა სამშობლო ბრძანებს, თქვენი საფიცარი და სალოცავი სამშობლო.

ჩვენი საუბარი ამჯერად ჩემი ამ პატარა ლექსით დავამთავროთ:

როდესაც ხედავ, პატარა ტირის,
შეჩერდი წამით
და შეუმშრალე ალერსით ტკბილით
ცრემლების ნამი.

როდესაც ხედავ, არ ტირის ბავშვი,
შეჩერდი მაინც,
ამოიკითხე მის მეტყველ თვალში,
ახარებს რაიც.
კეთილი სიტყვით გაათბე და კვლავ
შენი გზით წადი,
შვილთაშვილს შენსას დაურწევს
აკვანს
იმ სიტყვის მადლი!

## შტრიხები კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის დელეგატის პორტრეტისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულია თავაძე საქვეყნოდ ცნობილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა სოფელ ვანში, ჩოხატაურის რაიონში. კოლმეურნეობაში საქმე საათივით აქვს აწყობილი, ისე, კარგ ვაჟკაცს რომ შეშურდება. ვანელებისათვის სამეურნეო ანგარიში ახალი მცნება არ არის. ოცი წელია, რაც სამეურნეო ანგარიშით მუშაობენ და სახელმწიფოს სესხს არ თხოვენ. აი, სად ჩანს იულია თავაძის შორსმჭვრეტელობა, გონიერება!

# იულია თავაძე



ტრიბუნაზე ტანმორჩილი ქალი იდგა, არც განსაკუთრებულ სიტყვებს არჩევდა და არც ლამაზ გამოთქმებს. მაინც ყველას ყურადღება მიიპყრო — ლაპარაკობდა არა ტრიბუნისათვის, არამედ ხალხისათვის, რომელსაც დარბაზი პირთამდე ევსო, დროდადრო სიცილიც გაისმოდა. ორატორი არც ზომიერად შეზავებულ იუმორთან იყო მწყრალად...

ზოგჯერ სინათლის სხივი ეცემოდა მკერდზე დაბნეულ ოქროს ვარსკვლავს და ისიც თვალისმომჭრელად კიაფობდა. აბა, ჩვენში ვის გააკვირვებ ახლა ოქროს ვარსკვლავით (მეჩაიეთა თითქმის ნახევარი გმირია!), და მაინც განსაკუთრებულმა მოკრძალებამ აგვავსო ამ ხანდაზმული ადამიანის მიმართ. ეტყობა, მძიმე შრომაში გალია ახალგაზრდობა, სიმწარეც ბევრი ნახა და სიდუხჭირეც, მაგრამ ყველაფერს გაუძლო. შეუვალი კედელივით ედგა თანასოფლელებს. ვის გაამხნევებდა, ვის — შეაქებდა, ვის კიდევ — ნამუსში ჩააგდებდა. „რეცეპტი" ყველასათვის მზად ჰქონდა. და რადგან მუდამ მართალი იყო საკუთარი სინდისისა და ხალხის წინაშე, ჩინებულად ესმოდათ მისი.

ახლა მას ვანში ისე არ ახსენებენ, „ჩვენი იულია" რომ არ დაამატონ.

ორმოც წელზე მეტია, სოფელ ვანის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. ორმოცი წლის გადასახედიდან ადვილად შესამჩნევია ავიც და კარგიც.

ომი ახალი დამთავრებული იყო. ჯერ მშვიდობიანობის დროს რა იყო აქაური კოლმეურნეობები და ომის შემდეგ რა იქნებოდა! ყურს ვუგდებდი ორატორს—რესპუბლიკის კოლმეურნეთა მეოთხე ყრილობის დელეგატს იულია თავაძეს და განუსაზღვრელი მადლიერებით მევსებოდა გული, ოდესღაც გაღატაკებული, არაფრის მქონე კოლმეურნეობის სალარო ახლა ყოველწლიურად ნახევარი მილიონი მანეთით მდიდრდება. ოცი წელია, კოლმეურნეობა სამეურნეო ანგარიშით მუშაობს და ამ ხნის მანძილზე სახელმწიფოსაგან სესხი არ აულია.

ახლა გულწრფელად ვაღიაროთ: რამდენი კოლმეურნეობა გვეგულება, „რკინის მკვნეტელა" ვაჟკაცები რომ თავკაცობენ და სული კბილით უჭირავთ — თუ სახელმწიფომ ხელი არ წაახმარა, სალარო სულ გამოფხეკილი აქვთ. იცოცხლეთ, დღეს ბევრი შეფუცხუნებულია—სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების წესით მუშაობა უამრავ თავსატეხს უჩენს მათ. აი, ვანელები კი, რომელთაც ერთი ჩვეულებრივი ქართველი ქალი ხელმძღვანელობს, დამშვიდებულნი არიან, არც სამეურნეო ანგარიში აფიქრებთ და არც თვითდაფინანსება. არც გაკოტრება და არც გაუქმება. ჩოხატაურის რაიონის პირობებშიც კი, რომელიც არც სათიბ-საძოვარის სიგრძე-სიგანით არის განებივრებული და არც ბაღ-ვენახებითა, ვანის კოლმეურნეობის მშრომელებმა საოცარი ალღოიანობით გამოიყენეს უმნიშვნელო შესაძლებლობებიც კი. მარტო რამის მახარაძის საოჯახო იჯარის შედეგებიც ნათლად ადასტურებს ამას. ოჯახმა 12.500 მანეთის მაგიერ 20.240 მანეთის პროდუქცია აწარმოვა. ამასთან საგრძნობლად შეამცირა დანახარჯები. თვითონ 9.270 მანეთი შემოსავალი მიიღო, კოლმეურნეობასაც კაი გვარიანი თანხა დარჩა.

ეს მაგალითი იმისათვის მოვიშველიეთ, რომ გვეჩვენებინა, იულია თავაძე როგორ დროულად ამჩნევს სიახლეს, რომლის დანერგვასაც საერთო საქმისათვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

„ზუგდიდში, — ამბობს იგი, — ბახტაძეს კოოპერატივი შეუქმნია. სახელიც ლამაზი შეურქმევია — „ტექნიკური პროგრესი". ჩაის

მძიმე და ნახევრად მძიმე სასხლავ აპარატებს ამზადებენ. ისეთია, ქარხნისას სჯობია. იაფიც ღირს. ხელშეკრულება დავდეთ და აწი მისგან შევიძენთ“.

„ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, იულია თავაძევ,“ — ვფიქრობ ჩემთვის. — რამდენს აკლია ასეთი შორსმჭვრეტელობა და გონება“.

„სირთულეები ბევრია, — განაგრძობს თავმჯდომარე, — შარშან მთელი თვით დაიგვიანა თესვამ. ამინდები არ იყო. გაფუჭდა სიმინდის ყანები. ატყდა განგაში, სახელმწიფოს სიმინდი ვერ მიჰყიდეს (თუმცა, ჩოხატაურელების მიყიდული სიმინდი ვის შეერგება, არ ვიცი). ამას უნდა გავუწიოთ ანგარიში“.

ამბობს ამას იულია თავაძე და უმალ წარმოვიდგენ, თოკზე გამობმული კაცი როგორ თოხნის თვალშეუდგამ ფერდობზე შეთესილ სიმინდის ყანას!

— ახლა ბევრს ლაპარაკობენ ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, გეგმაც შემცირდა. ხომ არ იზარალებთ?

— ეს დროული ღონისძიებაა. გვახსოვს ჩვენი დიდებული ადამიანის თამარ ყუფუნიას მოწოდება. მაშინ საამისოდ ნიადაგი არ იყო მომზადებული. ახლა მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. მეჩაიეები თავად დარწმუნდნენ, რომ ძველი მეთოდით მუშაობა აღარ შეიძლება. არც მატერიალურად ვზარალდებით. ადრე თუ ერთ ტონაში 880 მანეთს გვიხდიდნენ, ახლა 1.180 მანეთს გადაგვიხდიან — ფასი 32 პროცენტით გაიზარდა. მეჩაიესაც მეტი რა უნდა? უხარისხო პროდუქციის მოკრეფის უფლება აწი არ გვაქვს და არც არავინ გვაპატიებს... ახალი სანიმუშო წესდებით დიდი უფლებები მოგვენიჭა. იყო დრო, არაფერს გვეკითხებოდნენ, გეგმებს არც თვითონ გვიწესებდნენ, ამონაგები თანხების განაწილებაშიც აქტიურად ერეოდნენ. შეასრულებდი გეგმას და, უბოდიშოდ დაგირეკავდნენ: ამხანაგო, რაიონს უჭირს საერთო გეგმა, კიდევ ჩააბარე 10 ტონა სიმინდიო.

არ ჩააბარებდი და... ღალა ეცლებოდა ჩვენს მონაგარს. ხალხსაც ეჭვის ჭია შეუჩნდა: რისთვის მოვიკლა თავი მუშაობით, მაინც არაფერი შემხვდებაო. დღეს ერთმა მიატოვა კოლმეურნეობა, ხვალ — მეორემ, ზეგ — მეათემ. წესიერად აღარც ითოხნებოდა, აღარც იმარგლებოდა. იკლო მიწის ბარაქამ. ბევრი კოლმეურნეობა გალატაკდა.

ამას ახლა სასტიკად კრძალავს სანიმუშო წესდება. ახლა ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული-კარგ კანონს კარგი შემსრულებელი სჭირდება...

აღარაფერს ვეკითხები, რა სამუშაოები შეასრულეს ამ ზამთარში, ისედაც ვიცი, რომ მოსახნავი მოხნული ექნებათ, შესაბარი — შებარული, გასასხლავი-გასხლული. ახლა იმდენი სამუშაო არ არის, რამდენიც ზაფხულში, მაგრამ ისეთი ხელმძღვანელი, როგორიც იულია თავაძეა, საქმეს ყოველთვის გამოძებნის.

ასეა ამ ორმოცი წლის მანძილზე და ასე იქნება ახლაც, რადგან ჩვეულება მართლაც რჯულზე უმტკიცესია...

**ელგუჯა ლებანიძე,**
ჩოხატაურის რაიონი.

# დამსახურებული სიყვარული

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართველ ქალებს. ბევრი მათგანი აქტიურად იბრძვის რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის და სახელდობრ, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქართველოში თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ ვეტერინარი სპეციალისტები და მით უმეტეს, ქართველი ვეტერინარი ექიმები. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ჩვენში არ ხდებოდა ვეტერინარი სპეციალისტების მომზადება. 1928 წელს ქ. ერევანში დაარსდა ამიერკავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტი, რომელსაც ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ მიაშურა. მათ შორის იყო თამარ ჩოფიკაშვილი. იგი პირველი ქართველი ქალია, რომელმაც ვეტერინარი ექიმის სპეციალობა მიიღო და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება — თითქმის 50 წელი მეცხოველეობის განვითარებას მოახმარა. თავისი ხანგრძლივი საქმიანობიდან შეიძლება გამოიყოს 40 წელი, რომელიც მან მაღალმთიან ყაზბეგის რაიონში გაატარა და ბევრი რამ გააკეთა მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

თამარ ჩოფიკაშვილი თავდაპირველად ყაზბეგის რაიონის სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა, მალე სამუშაოდ ზუგდიდის მაზრაში გადავიდა, შემდეგ ხობის თემსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სამაზრო აღმასკომის დეპუტატი იყო. 1932 წელს საქართველოდან წარგზავნილ სხვა ახალგაზრდებთან ერთად ერევნის სავეტერინარო ინსტიტუტი დაამთავრა და ლაგოდეხში რიგით ვეტექიმად მუშაობდა. შემდეგ, ხობის რაიმიწგანის უფროსი ვეტექიმია. 1938 წელს თამარი მიდის ყაზბეგის რაიონში მთავარ ვეტექიმად, დაუღალავად იბრძვის მესაქონლეობაში გავრცელებულ სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ.

1960 წელს თამარ ჩოფიკაშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ვეტერინარი ექიმის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით. სხვადასხვა დროს იგი არჩეული იყო პარტიის ყაზბეგის რაიკომის წევრად, რაისაბჭოს დეპუტატად.

თამარ ჩოფიკაშვილი უყვარს ხალხს, როგორც მისი დაუღალავი, უანგარო მსახური.

**კარპეზ კაპანაძე,**
ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი.

## ჩვენი თანამედროვე



# სოფიო გამრეკელი

სოფიო გამრეკელი საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა.

ბავშვობის წლებში მას თეატრალური სანახაობები და მხატვრული კითხვა იტაცებდა. პატარა გოგონა სკოლის დრამწრის გარდა სად მოიკლავდა ამ წყურვილს? თუმცა მისი ძველი სახლის აივანიც მშვენიერი ასპარეზი იყო შემოქმედებისათვის. ეზოში ყველა ეროვნების ბავშვი იზრდებოდა და სოფიკოს მეთაურობით ყველა ენაზე მღეროდნენ, კითხულობდნენ, ცეკვავდნენ. გეგონებოდა ხალხთა მეგობრობის ზეიმიაო. ამას ის მოჰყვა, რომ ბავშვმა შეისწავლა რუსულიც, სომხურიც და შემდგომში ენების ცოდნა სხვადასხვა პარტიულ და საზოგადოებრივ სამუშაოებზე გამოიყენა.

თეატრის სიყვარული თუ გულში ჩაგივარდა, ადვილად თავს ვერ დაიხსნი! სოფიკო ჯერ პიონერთა კლუბის მხატვრული კითხვის წრეშია, შემდეგ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დრამატულ წრეში გადადის. მან აქ მრავალი მთავარი როლი განასახიერა. საკმარისია დავასახელოთ მოქრისის როლი ვ. ფშაველას „მოკვეთილში“, კრუჩინინას (ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი“) და სამშობლოს ერთგული ბიჭის კოლიას როლები (პიესა „შურისძიება“), რომ ცხადი გახდეს გოგონას მრავალმხრივი შესაძლებლობა.

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას ოთხი წლის მანძილზე სტუდენტთა დრამატული წრის ერთ-ერთი „ვარსკვლავთაგანი“ იყო სოფიკო. ამ წრეს სხვადასხვა დროს მეტად ავტორიტეტული და სახელოვანი მოღვაწენი ხელმძღვანელობდნენ. ამ წრიდან ბევრი სამუდამოდ დაუკავშირდა თეატრალურ ხელოვნებას და არა მარტო დაუკავშირდა, დაამშვენა კიდეც იგი. სოფიკოც ამ წრეში ბევრ ცნობილ ხელოვანთან ერთად მოღვაწეობდა, ხან ჯავარა იყო („მოკვეთილი“) ხან ტურფა („პატარა კახი“) და ხანაც დონა ანა („ქვის სტუმარი“).

სცენით გატაცებული დარჩა. ფართო განათლებამ, უშრეტმა ენერგიამ, პასუხისმგებლობის და სამართლიანობის გრძნობამ, ორგანიზატორულმა ნიჭმა ხელი შეუწყო ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტს, სოფიკო თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად აერჩიათ. ერთი წლის შემდეგ იგი კომკავშირის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანია, შემდეგ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტში სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილებას ხელმძღვანელობს. მალე თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნად გადაჰყავთ აგიტაცია-პროპაგანდის დარგში. ყველგან, სადაც სოფიკოს უხდებოდა მოღვაწეობა, საქმეს მისი ხელი და ორგანიზატორული უნარი აჩნდა.

სოფიოს პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ხელოვნებასთან შეზიარებამ. იგი შემოქმედებითად უდგებოდა საქმეს, გაბედულად თაოსნობდა თითქმის მის ტოლ მოსწავლე ახალგაზრდობას. მისი ინიციატივით დაიდგა თბილისში, ყოფილ „არტოს ბაღში“, გმირი კომკავშირელი გოგონას ზოია რუხაძის ძეგლი.

ცოდნასა და მონდომებას ჩვენს ქვეყანაში წინ არაფერი დაუდგება. 1958 წელს სოფიკო გამრეკელი კომკავშირიდან პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს, აირჩიეს საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის მდივნად და გაგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში. ამ სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორია. შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის მდივანი. ამ რაიონში სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ცხოვრობენ და მათ ხელმძღვანელობას მომზადება და უნარი სჭირდებოდა.

სოფიო გამრეკელი წლების მანძილზე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა საბჭოთა კავშირის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ისტორიის საკითხებზე. ის ახლაც, დაჭარმაგებულ-დაქალებული, ფიქრით და გულით ახალგაზრდობასთან არის.

მოღვაწე ქალი ამ რამდენიმე ხნის წინათ დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით, აქვს მედლები „შრომითი წარმატებისათვის“, „შრომითი თავდადებისათვის“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

წლები შრომაში უფრო ჩქარა გადისო, იტყვიან. სოფიოსათვისაც გარჯაში, წვაში, სიყვარულსა და ზრუნვაში გავიდა წლები, თუმცა ეს რას დააკლებს იმას, ვისაც უკან მოსახედავი აქვს!

სოფიო გამრეკელი იყო მოთავე იმ ბევრი კარგი წამოწყებისა, რასაც დღესაც აგრძელებენ და რითაც კმაყოფილნი არიან ადამიანები. ქუჩათა დღესასწაულების მოწყობა, საბავშვო ბაღების გამოსაშვები დილა-საღამოების ჩატარება, თბილისში ვაზის ხეივნების გაშენება, ბუნებრივი ნაძვის დაცვის მიზნით ხელოვნური ნაძვის ხეების შემოღება საახალწლო ზეიმებისათვის, უმაღლესში მისაღებ აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების გახსნა საზოგადოება „ცოდნის“ ბაზაზე და მრავალი სხვა.

ქალბატონი სოფიო დღეს ენერგიულად და საქმის სიყვარულით ხელმძღვანელობს საზოგადოება „ცოდნას“, შემოქმედებითად ატარებს ყოველ ღონისძიებას, მუდამ ახალი გეგმებითა და საკითხებით არის დატვირთული: ან ლექციას ამზადებს საქართველოს ახალგაზრდობის შესახებ, რომელიც საზღვარგარეთ უნდა წაიკითხოს: ან, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯული სხდომაზე მიიჩქარის, ან „ცოდნის“ გამგეობის სხდომას ამზადებს. ორი ვაჟიშვილის დედობაც და 4 შვილიშვილის ბებიობაც ხომ თავისას მოითხოვს! სოფიოს ვაჟიშვილები გიორგი და პაატა დღეს მეცნიერებათა კანდიდატები არიან, და, რა თქმა უნდა, ალბათ მართალია, რაც უფრო მეტი მოვალეობა აკისრია ადამიანს, მით უფრო მეტს ასწრებს.

ელენე საყვარელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუხარი



მხატვარი კარლო ფაჩულია

მოთხრობა

დიდი ხანია უკან დარჩა საქართველოს მაღალი მთები, თბილისის საოცრად ლურჯი ცა და თბილი, სანეტარო სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი.

ვაგონის გისოსებიან სარკმელს ორმოციოდე წლის ქალი მიყრდნობია და ცრემლგამშრალი თვალებით გასცქერის ციმბირის უკიდეგანო ტრამალებს. მაღალი, მოხდენილი სხეული უსიცოცხლოდაა მოშვებული. ოქროსფერი ხვეული თმა უწესრიგოდ აყრია მხრებზე, საოცრად თეთრი, ჩამოქნილი ხელის თითები გისოსებს ჩასჭიდებია, თითქოს მათ ამოგლეჯას ლამობენო.

ვაგონში ბინდბუნდია და სუნამოს ოფლნარევი მძაფრი სუნი დგას. პატიმარი ქალები მოურიდებლად გაწოლილან ულეიბო საწოლებზე და უზრუნველად ხვრინავენ. ჩანს ისინი პირველად არ მგზავრობენ გისოსებიანი ვაგონით.

ორნი ერთმანეთის პირდაპირ სხედან და ზედიზედ აბოლებენ იაფფასიან წეკოს. დროდადრო ფანჯარასთან მდგომ ქალს გახედავენ, ერთმანეთს რაღაცას ჩაუჩურჩულებენ და ყურისწამღებად ახორხოცდებიან.

— კარგით, გეყოფათ ჭიხვინი! — გაისმა ზედა საწოლზე გაშოტილი ყარაჯივით შავი დედაკაცის გაბოხებული ხმა. — არ დაიღალეთ?

— იმ ოქროს თავთავს უთხარი, სარკმელს მოეშვას და თავის ადგილზე დაჯდეს, ნერვებს მიშლის! — თქვა ერთმა.

— ისე მედიდურად დგას, გეგონება პატიმარი კი არა, მისი ბრწყინვალება გრაფინია იყოს! — დაუმატა მეორემ.

— რა გინდათ ჩემგან, რას მერჩით დამეხსენით! სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა სარკმელთან მდგომმა ქალმა და ხელები უმწეოდ გაასავსავა.

— მოკეტე ეგ ოქრომთოველი ბაგე, გრაფინია, თორემ... და ისევ ატყდა მიძინებულ ვაგონში ანაზდეული ხარხარი.

სარკმელთან მდგომს, თითქოს მათრახი გადაუჭირესო, მხრები ნერვიულად აუტოკდა, საცოდავად მოიკუნტა, მუშტისოდენა გახდა ეს არყის ხესავით ამართული ქალი.

— „გრაფინია, გრაფინია“, — ბუტბუტებდა ის უხმოდ, — ამიერიდან მას ზედმეტსახელი დაეკვებება.

ახლა ის უფრო მჭიდროდ მიეკრა გისოსებს და ცრემლით დაბინდული თვალებით მიაჩერდა სარკმლის იქითა წყვდიადს. მის თვალწინ წვეთწვეთად იმარცვლებოდა განვლილი ცხოვრების კრიალოსანი. მოაგონდა ბედნიერებით აღსავსე წლები, ტკბილი ოჯახი, მოსიყვარულე ქმარ-შვილი. როგორ მოულოდნელად დაუბნელდა მზე.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს ქმარმა ოჯახი მიატოვა, ორი პატარა გოგონა, ორი შვილი ხელებში შეატოვა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. მარტოდ დარჩენილ სულ ახალგაზრდა ქალს, მიამიტსა და გამოუცდელს შვილების აღზრდა და მოვლა-პატრონობა დააწვა სუსტ მხრებზე. ბევრი სიდუხჭირე გადაიტანა, ბევრი გაჭირვება და აი, როგორც იქნა, მეგობრების დახმარებით და ხელშეწყობით ფეხსაცმლების მაღაზიაში დაიწყო მუშაობა გამყიდველად. ცხოვრება თითქოს აეწყო, ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ უბედურება არასდროს არ მოდის მარტო და ერთ დღეს, ო, რატომ არ დაიქცა ის დღე, მაღაზიის სექციის გამგემ საწყობში გამოიხმო და ჩუმად უთხრა:

— დღეს აქ ერთი კაცი მოვა, მე მიკითხავს, თუ შემთხვევით არ ვიქნე, აი, ამ თაროზე, კოლოფში, მამაკაცის ფეხსაცმელებია და გაატანე, მხოლოდ არავინ შეამჩნიოს, ასეა საჭირო! — დღის მეორე ნახევარში კი უგუნებობა მოიმიზეზა და სახლში წავიდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მაღაზიაში მართლაც შემოვიდა ჩია ტანის სახედამანჭული მამაკაცი და სექციის გამგე მოიკითხა...

„აქეთ მობრძანდითო“, — უთხრა სახეშეწითლებულმა და საწყობში

ჩაიყვანა. იქ დათქმული ფეხსაცმელი გადასცა და მაღაზიის უკანა კარებიდან გაისტუმრა.

სახედაჭმუჭნულმა მამაკაცმა მას რაღაცნაირი გულისამრევი ღიმილით გაუღიმა და ხელში სამმანეთიანი ჩაუკუჭა...

აღშფოთებული დაედევნა უკან, უნდოდა დაებრუნებინა დაუმსახურებელი გასამრჯელო, როგორ გამიბედეთო! — ისიც კი მიაძახა ოდნავ გასაგონი ხმით, მაგრამ ანაზდად შეჩერდა, რაღაც გამოუცნობმა დამატყვევებელმა ძალამ ადგილზე გააშეშა, მან გვერდულად გადახედა შემორჩენილ ფულს, რომელიც ცეცხლივით სწვავდა მის გაოფლიანებულ ხელისგულს და თავიდან რომ მოეშორებინა ეს უსიამო გრძნობა, აკანკალებული ხელი მწვანე დაჭმუჭნული ქაღალდით სამუშაო ხალათის ჯიბეში ჩამალა...

ასე დაიწყო...

იმ დღეს არავის არაფერი გაუგია... მაღაზიის თანამშრომლები ჩვეულებრივად ემსახურებოდნენ მომხმარებლებს და არ შეუმჩნევიათ როგორ გაჩნდა ლიანა ნადიბაიძის უმწიკვლო ცხოვრებაში საბედისწერო ბზარი... როდესაც ეს მათს შეგნებამდე მივიდა, გვიანღა იყო. ლიანას მიაპიტური სიმსუნაგე ფართო მასშტაბის ანგარებაში გადაიზარდა. მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა სექციის გამგის მიერ სამოწყალოდ შეთავაზებული მანეთიანები და სამმანეთიანები, მან დამოუკიდებელ „საქმიანობას" მიჰყო ხელი...

მაცდურია, ოო, მეტად მაცდური უშრომელი, მრუდე გზით ნაშოვნი ფული. იგი აძაბუნებს და ადუნებს ადამიანის ნებისყოფას, თავის ტყვედ აქცევს მის სულსა და გულს, სინდისსა და ნამუსს, უკარგავს სიფრთხილის გრძნობას და თანდათან ეწევა უძირო, აშმორებული ჭაობისაკენ, საიდანაც შეუძლებელია თავის დაღწევა...

ლიანა ნადიბაიძის დაცემას განკითხვის დღეც მოჰყვა.

ანაზდად მატარებლის ვაგონები ერთმანეთს მიეჯახნენ, ახრიგინდნენ და გაჩერდნენ. დღე ილვიძებდა. ჰყინავდა. საშინლად ციოდა.

გისოსებიან ვაგონში ბადრაგები შემოვიდნენ და ერთმა მათგანმა, როგორც ქცევაზე ეტყობოდა, უფროსმა, პატიმარ ქალებს უბრძანა:

— იჩქარეთ, იჩქარეთ, ორი წუთი მზადყოფნისათვის. მატარებელი სამი წუთი დგას მხოლოდ!

ჯერ კიდევ ძილის ბურანში გახვეული ქალები უხალისოდ წამოიზლაზნენ საწოლებიდან, რაც ჩასაცმელი ჰქონდათ, ჩაიცვეს, ზურგჩანთები აიკიდეს და ერთმანეთის მიყოლებით ვაგონიდან გაიკრიფნენ. უღონოდ და ფეხბორძიკით მისდევდა მათ ღამენათევი ლიანა.

— დაუჩქარე, დაუჩქარე, აქ სასეირნო ბალი არ არის! — დაუყვირა მას უფროსმა ბადრაგმა, თავისი უშველებელი, ხელთათმანიანი თათები გაუწოდა და ვაგონის საფეხურებიდან ჩამოახტუნა.

— რაკი ხელი გაუწოდე გრაფინიას, ბარემ გულიც შესთავაზე, უფროსო! — ღვარძლიანი ირონიით წამოიძახა ყარაჯივით შავმა ქალმა და გამომწვევად ჩაიქირქილა.

— კაცმა რომ თქვას, მასპინძელი შენა ხარ, ყარაჯო, აქ უკვე მეოთხედ მოდიხარ. ამიტომ შენ უფრო გმართებს მისი მეგზურობა! — სიცილით უპასუხა უფროსმა.

— ოო, მიცანი? — უშნოდ გაიღრიჭა „ყარაჯი". ვითომ არ გიხარია ჩემი ხშირი სტუმრობა, ხომ? ვინ იცის, დღე და ღამ ოცნებობდი, როდის ჩამომივა ჩემი გვრიტიო! — მიდი, მიდი გაიარე, ბევრს ნუ ლაყბობ, — ჩააჩუმა ის ერთ-ერთმა ბადრაგმა და სიტყვას ხელიც შეაშველა.

თვალსაწიერზე გამოჩნდა ბინდბუნდში გახვეული ბარაკების კონტურები. „მაშ ეს არის ჩემი ახალი საცხოვრისი! — ლიანას გული შეეკუმშა და სახეზე თავშალი ჩამოიფარა, რათა ანაზდად წამომსკდარი ცრემლები დაემალა.

კოლონიაში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. იქ მყოფ პატიმრებს ჯერ კიდევ ეძინათ. ჩამოყვანილები ერთ-ერთ ბარაკში შეიყვანეს, რომელიც წინასწარვე მათთვის იყო განკუთვნილი. ეს იყო დაბალჭერიანი სამყოფი. აქ თხუთმეტამდე ხის ტახტი იდგა სუფთა ზეწარგადაფარებული ლეიბებითა და უხეში შალის საბნებით.

— „გამარჯობა, ჩემო ტახტო ნატანჯო! — ხრინწიანი ხმით წაიმღერა „ყარაჯმა" და ბარაკის შორეულ კუთხეში მდგარ ტახტს სწრაფად დაეუფლა.

არავინ შესცილებია. ბოლოს და ბოლოს სულერთი არ იყო, რომელი ტახტი შეხვდებოდა აქ მოსულს?

თურმე არ ყოფილა სულერთი... იმ კუთხეში ზამთრობით განსაკუთრებით თბილა, რადგან კარ-ფანჯრებისგან დაშორებულია, მხოლოდ ზაფხულობით დილაადრიან ადგება გრილი მზე. მაგრამ ამის შესახებ „ყარაჯის" გარდა არავინ არაფერი იცოდა. როცა გაიგეს, გვიანღა იყო. თუმცა, რა აზრი ჰქონდა აყალმაყალის ატეხვას, ბოლოს და ბოლოს რამდენ ქალს უნდა დაეკავებინა ის ერთი ადგილი? თურმე ჰქონია აზრი! საქმე ისაა, რომ იმ ადგილის მფლობელი რაღაცნაირი აუხსნელი და დაუწერელი კანონით დანარჩენებზე მეტი უპირატესობით სარგებლობდა. ის თითქოს ზემოდან დაჰყურებდა დანარჩენებს და ისინიც თავისდაუნებურად იმ კუთხის მფლობელის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

„ყარაჯი" თავის ტახტის გარეშეც იჩემებდა ქალებზე ბატონობას და ადვილადაც აღწევდა მიზანს.

მეტსახელად „ყარაჯი", იგივე ანჟელიკა გამოუსწორებელი რეციდივისტი და მრავალჯერ ნასამართლევი იყო. რა დანაშაული გინდოდა რომ მას არ ჩაედინა. პატიოსან ცხოვრებაზე არც უფიქრია. ბაზარი იყო მისი მოქმედების მთავარი ასპარეზი. როცა საკოლმეურნეო ბაზრის დახლები და ყაფაზები სოფლიდან ჩამოტანილი ხილითა და ხორაგით აივსებოდა და უამრავი მუშტარიც ირეოდა, ბაზრის ქურდი ანჟელიკა პოლოსიანი გაცხარებული შეუდგებოდა თავის საქმიანობას. ისე მოხერხებულად აცლიდა ჩამოსულ სოფლელს ხილითა თუ სხვა ხორაგით სავსე ყუთს, რომ ვერც პატრონი და ვერც მუშტარი ვერაფერს ამჩნევდა.

ახლა იმისი „ტკბილსიტყვათა ლექსიკონი" მოისმინეთ! ო, არა არ გირჩევთ! პირიქით, ყურები მაგრად დაიცავით, როცა „ყარაჯი" „აბულბულდება".

გრძნობდა რა თავის უპირატესობას ახლადმოსულ, როგორც ის ამბობდა, „ჰარიფების" წინაშე, თანდათან აქცევდა მათ თავისი გავლენის ქვეშ.

ლიანას ყველაზე მოუხერხებელი ადგილი შეხვდა, ის ქანცმილეული მიწვა საწოლზე, თავზე საბანი წამოიხურა და ატირდა. ტიროდა უხმოდ. მის გულს უსაზღვრო კაეშანი დაეუფლა. ამიერიდან ის თავის თავს აღარ ეკუთვნოდა და უდრტვინველად უნდა ეზიდა ცხოვრების მძიმე უღელი.

ძნელია, მეტად ძნელი ტყვეობაში ყოფნა. ჯერ კიდევ გუშინ ლიანა ნადიბაიძე თავისუფალი მოქალაქე იყო. ლაღად თავაწეული დადიოდა ქალაქის ქუჩებში. გამვლელ-გამომვლელნი აღტაცებულ მზერას აყოლებდნენ ყელმოღერებულ და მეტად ნატიფი გარეგნობის ქალს. მას ჰყავდა შვილები, მეგობრები, რომლებიც დღენიადაგ თავს დასტრიალებდნენ და ელაციცებოდნენ.

მაგრამ... აი, წაიბორძიკა და... როგორც მოსალოდნელი იყო, „მეგობრების" უმრავლესობამ მას ზურგი შეაქცია, არავინ შეეშველა, არავინ გაუწოდა დახმარების ხელი. ყველა საკუთარ თავსა და რეპუტაციას უფრთხილდებოდა.

შვილები? — მისი სისხლი და ხორცი?

ამაოდ ეძებდა ლიანა მათ გამამხნევებელ მზერას სასამართლოს დარბაზში... იქნებ ვინმემ გაამართლოს კიდეც შვილების მოქმედება. გასათხოვრად გამზადებულ ქალიშვილებს ესირცხვებოდათ დედის ნამოქმედარი და ისინი არც მოვიდნენ სასამართლო პროცესზე.

ბალიშში თავჩარგული ლიანა ჯერ უხმოდ ტიროდა. შემდეგ თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა, გულამოსკვნით აქვითინდა...

ბარაკში ანაზდად შეწყდა ხორხოცი და ხმამაღალი ლაპარაკი. „ყარაჯის" გვერდით მდგარ საწოლიდან შავგვრემანი, სიმპათიური შესახედაობის ქალი ადგა. ლიანას საწოლს მიუახლოვდა, მის კიდეზე ჩამოჯდა და ქალის მთრთოლვარე მხრებს ხელი მოუთათუნა.

— კარგი, გეყოფა! — უთხრა საოცრად მშვიდი და გულში ჩამწვდომი ხმით. — დაიძინე, წამხდარ საქმეს რაღა ეშველება, საცაა გათენდება, ძალა უნდა მოიკრიბო!. ლიანას დედის ნანასავით ჩაესმა ქალის დამამშვიდებელი ხმა. მან თანდათან იყუჩა, შემდეგ ზმანებამ შეიპყრო და უეცრად ღრმა ძილი დაეუფლა მის დაღლილ და გაწამებ გონებას.

ადრე დილით პატიმრები გონგმა გამოაღვიძა. შორს გაისმოდა მისი გაბმული გუგუნი. ზანტად და უკმაყოფილოდ დგებოდნენ საწოლებიდან ჩაძინებული ქალები. ლიანა თავდახრილი იცვამდა ტანსაცმელს. მას წუხანდელი სისუსტისა რცხვენოდა და თვალს ვერ უსწორებდა მის ბედში მყოფ ქალებს.

უსასრულოდ გრძელდება დრო კოლონიაში, რადგან ცხოვრება აქ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთფეროვანია და ულიმლამო. დღისით შრომა სამკერვალო საამქროში, საღამოთი ბარაკში. ასეა ყოველ დღე თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე... ზოგნი ვერ უძლებენ და უჩუმრად თვრებიან. ამისათვის ისინი ათასგვარ დასაშვებ და დაუშვებელ საშუალებებს მიმართავენ. მაშინ ბარაკში ვაკხანალია იწყება. სიცილ-ტირილი ერთმანეთში ირევა, ლანძღვა-გინებას გულისშომკვლელი, სევდიანი სიმღერები ენაცვლება. ყველაზე მეტად „ყარაჯი“და „მარია-მასიამოვნე“ გადადიან ზღვარს, ისინი ერთმანეთს მკერდზე პერანგებს ახევენ და ერთმანეთისაკენ საცემრად მიიწევენ. „ყარაჯი“ ხმელია და კუნთმაგარი, ამიტომ მუდამ სჯობნის მსუქან და ბღენძ მარიას... ეს უკანასკნელი დაპატიმრებამდე ოფიციანტად მუშაობდა და მომხმარებელთა სისტემატური მოტყუებისათვის მოხვდა კოლონიაში. ბევრჯერ აპატიეს და პატიოსანი შრომით ურჩიეს ცხოვრება, მაგრამ ამაოდ!

ერთხელ ჰკითხეს-

— კი მაგრამ, როგორ ახერხებ ზედმეტი თანხის გამოძალვას კლიენტებისაგან, ანგარიში არ იციან, თუ არაფრად დაგიდევენ ზედმეტად გადაყრილ თანხას?

— ასეც არის და ისეც! — უპასუხა მარიამ. — ზოგს ჯიბეში ჩეჩქივით უყრია და ზედმეტ ხუთ მანეთს და თუმანს ფულად არა თვლის, ზოგს კი სხვანაირი მიდგომა უნდა, ანუ ძალიან უნდა ასიამოვნო, ყურადღება არ უნდა მოაკლო, კერძები და ღვინო დროზე უნდა მიურბენინო, ამავე დროს კბილის ტკივილი რომ გკლავდეს, მომხიბვლელად უნდა გაუღიმო. და... ის შენს ხელთაა, ასეა, ბიძია, ასიამოვნებ — გასიამოვნებს!

მას შემდეგ მარიას კოლონიაში „მასიამოვნე“ შეარქვეს და ნამდვილ სახელს აღარავინ ეძახდა.

ყველაზე გასაკვირველი ის იყო, რომ წინა ღამით ვაკხანალიის მონაწილეებს, მეორე დღეს სამკერვალო საამქროში ველარ იცნობდით. ისინი დაუცხრომელი ენერგიითა და დიდი მონდომებით აქოთქოთებდნენ საკერავ მანქანებს და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. ახლა ისინი სულ სხვა ადამიანები იყვნენ, გამრჯე და შრომისმოყვარე. მათს სახეებს ნათელი ეფინებოდა.

ლიანამ ღრმად ირწმუნა, რომ ბოლოს და ბოლოს შრომა გაიმარჯვებდა ამ სულიერად დამახინჯებულ ადამიანებზე, გააკეთილშობილებდა მათ, რამეთუ არცერთი ადამიანი არ იბადება ბოროტმოქმედად და რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინათ მათ იქ თავისუფალ სამყაროში და რა უხამსოდაც არ უნდა იქცეოდნენ ისინი აქ — კოლონიაში, ყოველივე ეს შეძენილია და მოტმასნილი. სინამდვილეში კი ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ადამიანური გრძნობებითა და მისწრაფებებით, მხოლოდ რომელიღაც უკუღმართი ბიძგით ამოგდებულნი ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან ამ ადამიანთა მხოლოდ სულის გარსია დაზიანებული, რომელსაც მკურნალობა უნდა. საქმე ის არის, რომ ზოგს ამისათვის მეტი დრო სჭირდება, ზოგს კი ნაკლები.

ხშირად, როცა ამაღლებული მთვარე ალვებს კენწეროებზე მოექცეოდა, ძილდაკარგული ლიანა ბარაკის წინ მერხზე ჩამოჯდებოდა და მწარე ფიქრებს მიეცემოდა. ჩაფიქრებულ ლიანას შუახნის შავგვრემანი ქალი გვერდით მიუჯდებოდა. ეს ის ქალი იყო, კოლონიაში ჩამოსვლის პირველ დღეს ატირებული ლიანა რომ დაამშვიდა. დღესაც იგივე განმეორდა. ის ქალი გვერდით მიუჯდა და თანაგრძნობით შეეკითხა.

— ისევ ფიქრობ?

— ვფიქრობ, ნინო, ვფიქრობ, ლამის თავი გამისკდეს, სად არიან ჩემი შვილები, რა დღეში არიან, რას ფიქრობენ ჩემზე, დამიბრუნებენ თავის სითბოსა და სიყვარულს, თუ გამრიყავენ, დედად აღარ ჩამთვლიან და უპატრონოდ მიმატოვებენ!? ხუთი წელი ხომ ცოტა არ არის. დამივიწყებდნენ!

— გულს ტყუილად ნუ იხეთქავ! — დაუყვავა ნინომ. — შენი ავბედითი მაგალითი მათთვის ჭკუის სასწავლებელია. არაფერი არ მოუვათ. თავის გზას თითონ გაიკვლევენ. თავის ცხოვრებას სწორად წარმართავენ. ასე იქნება, დამერწმუნე! ხალხი დაეხმარება. შესაბრალისი შენა ხარ, რომელსაც ახლა უნდა გაგეხარა წამოზრდილ შვილებთან, შენ კი... ასე სასტიკად დაგემსხვრა ფრთები... ძალიან მეცოდები, ლიანა! ჩვენ ერთ ბედ ქვეშა ვართ, გზას აცდენილნი და გაუბედურებულნი. ნინომ თავი ხელისგულში ჩამალა და მწარედ აქვითინდა.

— კარგი, ჰო, კარგი, — მოეფერა ლიანა. — დაწყნარდი, ყველაფერს ეშველება, როდისმე ხომ უნდა გავიდეთ აქედან, ახალი ცხოვრება დავიწყოთ!

— ო, არა, არა! — ზლუქუნებდა ნინო. — ზოგჯერ ისეთი ლაქა დაგესხმება კაბაზე, რომ ვერავითარი საპონი და ხსნარი ვერ ამოიყვანს, ლაქიანი კაბით სიარული კი ქალისათვის ძალიან სირცხვილია!..

* * *

როდესაც ლიანას პატიმრობის ვადა გაუთავდა, დარჩენილებმა ის დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს, ბედნიერება უსურვეს. ბევრმა დასტოვა მის გამოხუნებულ ქურქზე მწარე ცრემლების კვალი. მუდამ დაუდეგარი და თითქოს უდარდელი „ყარაჯი“ ნაძალადევად, მარტო ტუჩებით იღიმებოდა. მის ჩამქრალ თვალებში კი უზადო სევდა იყო გამოხატული.

— არ დაგვივიწყო, გრაფინია! — ჩახლეჩილი ხმით უთხრა მან ლიანას და ცრემლმორეული თვალები მის თვალებში ჩამალა.

მძიმე იყო, მეტად მძიმე ლიანასათვის კოლონიაში გატარებული წლები. იქ ყოფნამ მის სულიერ სამყაროზე დიდი გავლენა იქონია. ის გამოიცვალა ფიზიკურადაც. დიდრონი ცისფერი თვალების გამოხედვა სევდიანი, მაგრამ მშვიდი იყო. ფაფუკ მკერდსა და ხელებს სითეთრე დაჰკარგოდა და ყვითელი ლაქები დასდებოდა...

მატარებელი თბილისის ვაგზალში რომ შემოვიდა, ლიანას გული ისე აუძგერდა, რომ ერთხანს ადგილიდან ვერ დაიძრა. მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, სადგურის ბაქანზე შვილები ვერ დალანდა და გულში თითქოს რაღაც ჩაუწყდა, რკინის ბოძს ხელები შემოხვია და გაირინდა... ბაქანი ხალხისაგან იცლებოდა. საჭირო იყო წასვლა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა. როგორც იქნა, თავს ძალა დაატანა და გასასვლელი კარებისაკენ ფეხაბორძიკებული გაემართა.

— დედა, დედიკო!! — ანაზდად ზურგსუკან ძახილი მოესმა. თავის მობრუნება ვერ მოახერხა, თითქოს კისრის ძარღვებში სისხლი გაეყინა. შემდეგ კი სისხლი თანდათან გალღვა, ცხელ ლავად იქცა და შვებისმომგვრელ ნექტარად ჩაეღვარა გათოშილ სხეულში...

თამარ კრავჩელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე, არ ვუყურებ ჩემს თავს მხოლოდ როგორც ქალს. უპირველესად მე ვარ ადამიანი, მოწოდებული ხალხის სამსახურისათვის“

ინდირა განდი

# ინდოეთის დიდი შვილი

თანამედროვე ინდოეთის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს ინდირა განდის, რომელიც წარმატებით მართავდა დიდსა და მრავალრიცხოვან სახელმწიფოს, ინდოეთის რესპუბლიკას.

თავდადებული ადამიანი, ორი შვილის დედა, მოსიყვარულე მეუღლე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მომხრე სახელმწიფო მოღვაწე დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში.

ინდირა განდი დაიბადა 1917 წლის 19 ნოემბერს, სამხრეთ ინდოეთის ქალაქ ალაჰაბადში (უტარ-პრაშედის შტატი), ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ჯავაჰარლალ ნერუს ოჯახში. ბავშვობიდანვე შექმნილმა ვითარებამ, რომელიც ინდოეთის ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლებას ეხებოდა, განსაზღვრა შემდგომში მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი. „ჩემმა მეხსიერებამ არ შემოინახა ბავშვური თამაშები. ჩემი საზოგადოებრივი ცხოვრება სამი წლიდან იწყება“ — იგონებდა ინდირა განდი.

ინდირას დიდებული წინაპრები ჰყავდა: ბაბუა — მოტილალ ნერუ, ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის „ძველი გვარდიის“ წარმომადგენელი გახლდათ, ბებია — სვარუპ რანი ნერუ, ანტიბრიტანულ მანიფესტაციებში მონაწილეობდა, დედა — ქამილი და მამა ჯავაჰარლალ ნერუ აქტიურად იბრძოდნენ ინდოეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მათი ბინა დამოუკიდებელი ინდოეთისათვის მებრძოლ თავკაცთა თავშესაყარი შტაბი იყო. ხშირად აპატიმრებდნენ დედ-მამას, მათ თავს ესხმოდნენ პოლიციელები. მარტოდ დარჩენილ ბავშვს ახლობლები ზრდიდნენ. ამიტომ, ინდირა დროგამოშვებით სწავლობდა. მას ამხნევებდა საპყრობილიდან გამოგზავნილი ბარათები: „იყავ მამაცი და ყველაფერი მოგვარდება“.



ინდირა განდის სტუმრობა თბილისში — გ. ვახტანგაძის ფოტო

ინდირა თავდაპირველად პუნის სკოლა-ინტერნატში სწავლობდა, თავისუფალ დროს „ხარიჯანებთან“ („მიუკარებელთა“ კასტა) ატარებდა, ასრულებდა მძიმე სამუშაოს, იზიარებდა მათს ბედს. 12 წლისამ დააარსა „ჩარკა სანგჰის“ სექცია, სადაც ბავშვებს ხელსაქმეს ასწავლიდნენ. მანვე შექმნა „ვარნა სენას“ ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რომლის წევრებიც (6000-მდე) დამხმარე სამუშაოებს ასრულებდნენ: წერილების დატარება, სნეულთა მოვლა-პატრონობა, ეროვნული დროშების გამოფენა და სხვ. მამა დაპატიმრებული იყო, ხოლო დედა მძიმედ დაავადებული, როცა ინდირა განდიმ სწავლა განაგრძო შანტინიკეტანის უნივერსიტეტში, რომელსაც იმ დროს დიდი მწერალი და მოაზროვნე რაბინდრანატ თაგორი ხელმძღვანელობდა. ინდირამ გულწრფელად შეიყვარა თაგორი „გურუდევი (გურუ — მასწავლებელი), რომლის შემოქმედება განუყოფელია ცხოვრებისაგან“. (ი. განდი). შეგირდის სიბეჯითე და სწავლის წყურვილი მოსწონდა

თაგორს და მან საპყრობილეში მყოფ ჯავაჰარლალ ნერუს მისწერა ქალიშვილის შესახებ: „მე გულდასმით ვაკვირდები მას და აღტაცებული ვარ იმით, რომ კარგად აღგიზრდიათ".

მძიმედ დაავადებულ დედას პატრონობა სჭირდება და ინდირა თავს ანებებს სწავლას, შემდეგ ის მამასთან ერთად შვეიცარიაში მიემგზავრება. ქამილ ნერუ 1936 წელს გარდაიცვალა, ჯავაჰარლალ ნერუ ინდოეთში ბრუნდება. მას აპატიმრებენ და მხოლოდ 1945 წლის 15 ივნისს ათავისუფლებენ. ინდირა განდი უმაღლეს განათლებას ჯერ შვეიცარიაში იღებს, შემდეგ სწავლობს ოქსფორდის, სომერვილის კოლეჯში, სადაც ეუფლება ისტორიას, ანთროპოლოგიას და მართვის ხელოვნებას. აქვე ებმება ის სტუდენტთა გამოსვლებში. ამ პერიოდშივე ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა მამის, ჯავაჰარლალ ნერუს შრომებმა და კერძო წერილებმა.

1939 წლიდან ინდირა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (იეკ) პარტიის წევრია. ის ინგლისში ხვდება თავისი ბავშვობის მეგობარს, ქვეყნის პატრიოტსა და მებრძოლს, ჟურნალისტს ფეროზ განდის (გარდაიცვალა 1960 წ.). ახალდაქორწინებულები 1942 წელს ინდოეთში ბრუნდებიან. მათ აპატიმრებენ.

ინდირა განდის ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: რაჯივი (დაბ. 1944 წ.), დღევანდელი ინდოეთის პრემიერ-მინისტრი და სანჯაი (დაბ. 1946 წ.), რომელიც 1980 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

ასრულდა მაჰათმა განდის, მოტილალ და ჯავაჰარლალ ნერუს და სხვა გამოჩენილ პატრიოტთა ოცნება, მათმა თავდადებულმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო, 1947 წელს ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ინდირა განდი ქვეყნის მმართველი პარტიის იეკ-ის სამუშაო კომისიის წევრია, ხოლო 1959 წლიდან – მისი თავმჯდომარე.

ნერუს სიკვდილის შემდეგ (1964 წ.) ლ. ბ. შასტრის მთავრობაში ინდირა განდის ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრის პოსტი უკავია, ხოლო 1966-1977 წწ. ინდოეთის პრემიერ-მინისტრია.

1966 წელს ჟურნალისტებთან შეხვედრისას ინდირა განდიმ განაცხადა: „ინდოეთის კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია სქესის, სარწმუნოების, ენისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. მე, ინდოეთის ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ და პირველი მსახური ჩემი ქვეყნისა". და მართლაც, იგი ენერგიულად შეუდგა ქვეყნის მართვას, თავდაუზოგავად შრომობდა ინდოეთის აღორძინებისა და ეროვნული ერთიანობის შენარჩუნებისათვის, ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციისა და საგარეო პოლიტიკის მოწესრიგებისათვის. მაგრამ, ამავე პერიოდში შეინიშნება მმართველი იეკ-ის პარტიაში შინაგანი უთანხმოება და გათიშვის ტენდენციები. 1977 წლის მარტში, ოპოზიციურმა ძალებმა დააარსეს ახალი „ჯანათა პარტია", იეკ-ის პარტია არჩევნებში დამარცხდა და ინდირა განდის მთავრობა გადადგა, ხოლო მისი მეთაური „საგანგებო მდგომარეობის დროს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების გამო" დააპატიმრეს, თუმცა ბრალდების უსაფუძვლობის გამო, რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

ინდირა განდი არ შედრკა, გამოამჟღავნა თავისი ძლიერი ნებისყოფა და 1978 წელს შექმნა ახალი, ეროვნული კონგრესის პარტია. მას მიემხრო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გაიმარჯვა სამხრეთის არჩევნებში და ისევ შევიდა პარლამენტის შემადგენლობაში. ოპოზიციასთან ორწლიანმა ბრძოლამ და ხალხის მისდამი სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო, დაიწყო მთავრობის კრიზისი და 1980 წელს ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები. იეკ-ის პარტიამ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. ინდირა განდი პრემიერ-მინისტრი გახდა, ხოლო 1982 წლიდან – თავდაცვის მინისტრიც.

მისი მთავრობა იწყებს უამრავი პრობლემის მოგვარებას, რომელთა შესახებაც შემუშავდა 20 პუნქტისაგან შემდგარი ქვეყნის გარდაქმნის პროგრამა.

1982 წლის 14 იანვარს, ინდირა განდიმ რადიოთი მიმართა ხალხს: „ორი წლის წინ 1980 წელს ჩემმა პარტიამ იტვირთა ქვეყნის მმართველობა. ჩვენ ვნახეთ ეკონომიკის ქაოსური მდგომარეობა, ცხოვრების გაძვირება, ინფლაციის მაღალი დონე, სპეკულაციისა და კონტრაბანდისტების მოძალება", ამიტომ ინდირამ სთხოვა ხალხს, მხარი დაეჭირა მთავრობის ახალი პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც ისახავდა ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას, კერძოდ: ირიგაციის ქსელის გაფართოებას, ყველა სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფას, ელექტროენერგიის გაზრდას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, საყოველთაო დაწყებითი განათლების შემოღებას, სამედიცინო მომსახურების მოგვარებასა და სხვ. მართლაც, 1980 წლიდან რამდენადმე გამოსწორდა ეკონომიკა, შემცირდა ინფლაცია, 1981 წელს ინდოეთმა მარცვლეულის სარეკორდო მოსავალი მოიწია. ქვეყანამ, რომელსაც სამრეწველო ნაწარმი უცხოეთიდან შემოჰქონდა, თვითონ დაიწყო თანამედროვე ხომალდებისა და თვითმფრინავების შენება, განვითარდა ქიმიური მრეწველობა, დიდი ნაბიჯები გადაიდგა მეცნიერებაში, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. წინსვლა დაეტყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკასაც. დიდი საბჭოთა კავშირის დახმარებითა და ხელშეწყობით, ინდოეთში აშენდა მსხვილი სამრეწველო ობიექტები (ბხილაი, ბოკარო და სხვ). ინდოელმა მეცნიერებმა შექმნეს და საბჭოთა მატარებელი-რაკეტის დახმარებით 1981 წელს დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაიყვანეს ხელოვნური თანამგზავრი „ბხასკარა-2".

1983 წლის 15 აგვისტოს, დელში გამართულ მიტინგზე ინდირა განდიმ განაცხადა: დაჩაგრულ, დაპყრობილ ჩვენს ქვეყანას, დღეს შეუძლია ამაყად ეჭიროს თავი, უნდა გვახსოვდეს ჩვენი დევიზი: „გადავაქციოთ ინდოეთი ძლიერ და დიდ სახელმწიფოდ".

ინდირა განდი აგრძელებდა მამის პოლიტიკას სსრ კავშირის მიმართ, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობაზე იყო დაფუძნებული. ამის ბრწყინვალე მაგალითია 1971 წელს აგვისტოში, დელში დადებული ხელშეკრულება, რომელმაც კეთილი ნაყოფი გამოიღო ორი დიდი ქვეყნის დაახლოებაში. „ჩვენ – ამბობდა ინდირა განდი, და საბჭოთა კავშირი მტკიცე მეგობრები ვართ. ეს მეგობრობა გვშველის შევინარჩუნოთ ეროვნული დამოუკიდებლობა. ამ მეგობრობის სათავეში იდგნენ ვ. ი. ლენინი და ჯ. ნერუ".

ინდირა განდი რამდენჯერმე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. მას აღფრთოვანებით ხვდებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, ტაშკენტისა და თბილისის მოსახლეობა.

1955 წლის 13 ივნისს, თბილისში პირველად ჩამოვიდნენ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი ქალიშვილი ინდირა განდი. სტუმრებმა დაათვალიერეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, დაესწრნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დ. თორაძის სპექტაკლ „გორდას".

თბილისიდან გამგზავრებისას ჯავაჰარლალ ნერუმ განაცხადა, რომ მუდამ ეხსომება ეს ვიზიტი. მან მხურვალე სალამი გადასცა საქართველოს მოსახლეობას.

ინდირა განდი თვალს ადევნებდა ჩვენი ქვეყნის წინსვლას, აღფრთოვანებული იყო ეკონომიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და განათლების განვითარების მასშტაბებით. როგორც ბავშვების მეგობარი აღტაცებული იყო „ყველა საქმეში, ყველა წამოწყებაში იგრძნობოდა მისი განსაკუთრებული მზრუნველობა ბავშვებისადმი..

ინდირა განდი იღვწოდა მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს დელში, 1983 წლის მარტში მოწვეული მიუმხრობელი ქვეყნების ხელმძღვანელთა მეშვიდე კონფერენცია. მიუმხრობლობა ნეიტრალიტეტს როდი ნიშნავს, მიუმხრობლობის პოლიტიკა – ეს არის საშუალება ემსახურო მშვიდობას. აი, ასე ესმოდა ამ პოლიტიკის არსი ინდოეთის მთავრობის შორსმჭვრეტელ მეთაურს.

1984 წლის 31 ოქტომბერს ტერორისტებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს 67 წლის ინდოეთის გამოჩენილ შვილს, რომელიც მთელი შეგნებით იღვწოდა თავისი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის, ყველა ღონეს ხმარობდა მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამ პოლიტიკურმა ტერორმა აღაშფოთა მილიონობით ადამიანი. მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია მთელი კაცობრიობისათვის, რადგანაც მისი მოღვაწეობა გამოირჩეოდა ნათელი აზრით, რეალიზმითა და პატრიოტიზმით. ჩვენი დროის დიდმა მწერალმა ჩინგიზ აითმატოვმა ინდირა განდის „მეოცე საუკუნის დიდი წარმომადგენელი" უწოდა. გლოვის დღეებში ტაშკენტელი მოქალაქე ინდირა გაზიევი წერდა: „ჩემი მშობლები სამი წელი მუშაობდნენ ინდოეთში და ისე შეიყვარეს ეს ქვეყანა, რომ მე, როდესაც დავიბადე, ინდური სახელი ინდირა დამარქვეს. დღეს განვიცდი დიდ მწუხარებას და ყველაფერს გავაკეთებ, რათა უფრო განმტკიცდეს მეგობრული ურთიერთობა ინდოეთთან. ეს იქნება ყველაზე დიდი ხსოვნა ინდირა განდისა". ვფიქრობთ, გაზიევამ საბჭოთა ხალხის გულისთქმა გამოხატა.

1985 წელს (სიკვდილის შემდეგ) ინდირა განდის მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია. იგი მრავალი ქვეყნის აკადემიის საპატიო წევრი იყო, მათ შორის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.

1987 წლის 4 ივლისს, მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ინდირა განდის ძეგლი (მოქანდაკე ო. კომოვი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა დიდი შეფასება მისცა ინდირა განდის მოღვაწეობას. „მისი სახელი განუყრელია ინდოეთთან. თავისი ქვეყნის პატრიოტი ოცნებობდა ძლიერ ინდოეთზე, ენერგიულად იცავდა ინდოეთის ერთიანობასა და სუვერენიტეტს. მას უყვარდა თავისი ხალხი, რადგან ცხოვრების აზრს მის სამსახურში ხედავდა".

გურამ გასიტაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



# მადლობა სიკეთისათვის

აფთიაქის მოსაცდელში წამლის მომზადებას დაველოდე. შემოსასვლელი კარი გაიღო, შავებში ჩაცმული მოხუცი ქალი შემოვიდა, წამით შედგა, მიიხედ-მოიხედა, მერე გამგის ოთახი შეაღო და შეწუხებული ხმით მიმართა: შვილო, შვილმკვდარი დედა ვარ, ჩემს ობლად დარჩენილ ოლიას დედაც გაუთხოვდა... ახლა ავად მყავს, მიშველე, იქნებ ეს წამალი გქონდეთო და რეცეპტი გაუწოდა. ვიდრე მოხუცი პასუხს მიიღებდა, დაძაბული, ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდა ახალგაზრდა ქალის სანდომიან სახეს.

— დეიდა, ახლა ნამდვილად არა გვაქვს ეს წამალი, დღეს ქალაქში მივდივარ და ხვალისათვის უეჭველად ჩამოგიტანთ — დაამშვიდა გამგემ. მისი ნათქვამი იმდენად დამაჯერებელი იყო, მოხუცს იმედისა და სიხარულის სხივი ჩაუდგა თვალებში.

დავინტერესდი, გულმა არ მომითმინა და მეორე დღეს ამბის შესატყობად ისევ შევიარე აფთიაქში. მართლაც ჩამოეტანა წამალი მოხუცისათვის თელავის №8 აფთიაქის გამგეს ლირა სამხარაულს.

ეგ რა არისო, — მითხრეს — ხშირია შემთხვევა, როდესაც ავადმყოფები ღამის საათებშიც მიმართავენ ხოლმე დახმარებისათვის ლირას და ისიც მუდამ დაუზარებლად ემსახურება მათო.

ერთხელ სახლში მისულა მასთან ატირებული, მცირეწლოვანი გოგონა, ბებია მყავს ძალიან ავად და მიშველეო. მაშინვე გაჰყოლია ბავშვს, უნახავს ავადმყოფი (იგი მისი ყოფილი მასწავლებელი მ. პ. ალმოჩნდა) და რადგან მას მწვავე ტკივილი აწუხებდა მუცლის არეში, ლირას სასწრაფო დახმარებისათვის მიუმართავს.

საერთოდ ლირა სამხარაულისათვის არ არსებობს არასამუშაო საათი. მისი სულიერი მოთხოვნილებაა მიეშველოს გაჭირვებულს და რითაც შეუძლია შეუმსუბუქოს სატკივარი. მას მხარში უდგას თავისი კოლექტივი და ისინიც არა მარტო მოვალეობის მოხდით, არამედ საკუთარი გულის წადილით ემსახურებიან პაციენტებს.

მადლობა მათ ამ სათნოებისათვის!

გიორგი ფოთოლაშვილი
თელავი

გ

იჭირს სიტყვით გადმოცემა თვითნასწავლი მხატვრის, ელენე ჯაფარიძის იშვიათი მხატვრული სამყაროსი, რომლის ტყვეობაშიც აღმოვჩნდი მის ოჯახში სტუმრობის დროს.

დაგიჭკნებათ ლარნაკში ვარდი თუ ყვავილი და რიღას მაქნისიაო, გადაჭყრით! აბა, ქალბატონ ელენესაც ჰკითხეთ! მის მადლიან ხელებში მათ მეორე სიცოცხლე ენიჭებათ, არანაკლებ ფაქიზი და საამო, ამასთან საპატიო!

გინის თეთრი ფურცლებია. სერთუკი მუქი ფერის ვარდით შეუქმნია. პორტრეტის გვერდით დგას ილიას ეტლი და ის ურემი, რომლითაც წაასვენეს მისი ცხედარი. ეს ნამუშევრები ქალბატონმა ელენემ ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავს მიუძღვნა და განზრახული აქვს გასცეს საჩუქრად.

ძირითადად მხატვარი სახელოვანი ადამიანების პორტრეტებს ქმნის. ჩარჩოებიდან იმზირებიან ვარდ-ყვავილების ფერადოვნებითა და სურნელებით ამეტყველებული ძვირფა-

ვრულ გემოვნებას ოჯახის მოვლასა-შვილების აღზრდაში ავლენდა. მისი გოგონები სასკოლო ზეიმების დროს ყოველთვის გამოირჩეოდნენ ორიგინალური მხატვრული კოსტუმებით. ოჯახში შემოქმედებითი გარემო სუფევდა.

ერთ დღეს, როცა ქალბატონმა ელენემ გაიგო, რომ იერუსალიმიდან ჩამოიტანეს შოთა რუსთაველის ფრესკა, ისე აღფრთოვანდა, რომ სურვილი დაებადა ცოცხალი ყვავილებით დაეხატა ეს ძვირფასი სახე. დახატა კიდეც. ნახელავი ვინც კი

# ვარდისფურცლის ოქრომჭედი

ქეთევან ჭილაშვილი





თვალს ვერ ვაშორებ მხატვრის ბოლო ნამუშევარს — დიდი ილიას პორტრეტს...

სათაყვანო წინაპრის მომღიმარ სახეს პირისფერი ვარდის ნათელი ადგას. წვერ-ულვაშისათვის წვრილად დაჭრილი ხავერდის ვარდი გამოუყენებია. ქათქათა პერანგი კი გეორ-

სი სახეები: ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, ლევ ტოლსტოი, პეტრე ჩაიკოვსკი და სხვა.

ეს იშვიათი ნიჭი მხატვარს გვიან გამოაჩნდა. ადრე ბუნებით მოკრძალებული მანდილოსანი თავის მხატ-

ნახა, ყველამ ერთხმად მოუწონა, ამის მერე წახალისდა, სხვა ნამუშევრებსაც მოუყარა თავი და ეზოში სახელდახელოდ შინაურული გამოფენა მოაწყო. გულითადი ხელოვნება ადვილად მიიკვლევს გზას და შოთა რუსთაველის ცოცხალი ფრესკაც გასცდა ეზოს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩაჭკნენ ყვავილები და ფრესკამაც დაკარგა პეწი. საგონებელში ჩავარდა ქალბატონი ელენე. ენანებოდა მისი დაკარგვა. ფიქრმა იქამდე მიიყვანა, რომ ფრესკა ხელმეორედ შექმნა გამხმარი ყვავილების ფურცლებისაგან. ასე დაიწყო მხატვრის შემოქმედებითი გზა, რომელმაც ოცი წლის მანძილზე მრავალი თაყვანისმცემელი შესძინა. ამას მოწმობს მის შთაბეჭდილებათა წიგნში დატოვებული ჩანაწერები, ის დიპლომები და ქების სიგელები, რომლებიც მან სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობისას დაიმსახურა. 1986 წელს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ბუნების დაცვის დარგში თვალსაჩინო წვლილისათვის ქალბატონი ელენე დააჯილდოვა ოქროს საპატიო ნიშნით — „ბუნების ქომაგი“... შევყურებ სხვადასხვა ეროვნების ბავშვების პორტრეტებს, თითოეულს თვალებში მზე უცინის, დედამიწაზე სასურველი მშვიდობის მზე. გულში ვლოცავ მხატვარს და მიკვირს, საიდან მოაქვს ეს ჯადოსნური ფერი და ელფერი, როგორ ჰქმნის ვარდყვავილების ფურცლების ასეთ მდიდარ პალიტრას. აგერ, მიჰქრის ნ. ბარათაშვილის მერანი. თავად მგოსანი კი ალ. ჭავჭავაძის ასულებთან განაპირებულა. ნინოს ხავსისფერი კაბა ჰმოსავს, ეკატერინეს — სოსანი. ქალბატონმა ელენემ ვარდის ფურცლებში ჰპოვა თავისი ოქრომკედი და ამით ყვავილების მეუფეს კიდევ ერთი მშვენიერება მიანიჭა; ლუნარისის სიფრიფანა ფოთლებში კი „ბროლი“ აღმოუჩენია და ჭიქებად „ჩამოუსხამს“. მის მადლიან ხელებში ყურძნის წიპწა და ქინძის თესლიც კი ხელოვნების სამსახურში დგება.

ბურღულით მერცხლის ბუდე „აუგია“, მაკარონით — ციხის ნანგრევები, ნივრის იისფერი ფურცლებით კი კერამიკული ქოთანი სადაფის ძვირფას ლარნაკად უქცევია.

ამ ოჯახში არაფერი არ იყრება, ასე განსაჯეთ, წამლის ძველი აბებიც კი, რომლითაც უბრალო ლარნაკი ოსტატობით მოუპირკეთებია, თითქოს მძივებიაო.

მისი ყოველი ნამუშევარი საყურადღებოა და სანაქებო. თუ გინდათ, რომ იგრძნოთ ამ ხელოვანის მარჯვენის მადლი, თქვენი თვალით უნდა იხილოთ (ი. ნიკოლაძის 11 ჩიხი № 2).

ქალბატონ ელენეს მრავალი ჩანაფიქრი აქვს და უეჭველია განახორციელებს კიდეც თავისი ქალიშვილების მედეასა და ლამარას დიდი თანაგრძნობითა და ხელისშეწყობით.

# ქალები თუ ვაჟები? მაინც ქალები!

ჭადრაკის ისტორიაში არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როცა ქალები დიდი წარმატებით მონაწილეობდნენ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში.

ერთი საქმეა ქალის მონაწილეობა ვაჟთა ასპარეზობაში და მეორე — ისეთი შეჯიბრების მოწყობა, სადაც რამდენიმე ქალი ამდენივე ვაჟს ეთამაშება! ამიტომ მოჰყვა ბელგიელ ორგანიზატორთა ინიციატივას ესოდენი ინტერესი: 4 ქალი 4 ვაჟის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო. ჭადრაკის ენაზე მას შევენინგენის (ქალაქია ჰოლანდიაში) სისტემით ჩატარებული ტურნირი ჰქვია: ქალები ერთმანეთს არ ხვდებიან და მხოლოდ ვაჟების წინააღმდეგ იბრძვიან.

ბელგიელებმა ქალთა გუნდში 4 ქალი შეარჩიეს: მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიო ექს-ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდად პოპულარული და გახმაურებული უნგრელი ქალიშვილი, 19 წლის ჟუჟა პოლგარი (რომელიც პრინციპულად მხოლოდ ვაჟების ტურნირებში თამაშობს) და უძლიერესი შვედი დიდოსტატი პია კრამლინგი. მათ დაუპირისპირდა ოთხი პროფესიონალი მოჭადრაკე ვაჟი: აშშ-ის ჩემპიონატის პრიზიორი მაქსიმ დლუგი, ცნობილი დასავლეთგერმანელი დიდოსტატი ერიკ ლობრონი, ბელგიის № 1 მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი ლუკ ვინანტი და ინგლისელი საერთაშორისო ოსტატი უილიამ უოტსონი.

შეჯიბრება ორ წრედ მიმდინარეობდა: თითოეულ მონაწილეს 8 პარტია უნდა ეთამაშა. როცა ასეთი ცოტა შეხვედრაა, საკმარისია ერთი „ფეხის წამოკვრა“, რომ მთელი გუნდის მდგომარეობა მძიმე ხდება. ქალთა გუნდი თავიდანვე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდა: პოლგარსა და კრამლინგს, თუმცა ვაჟების წინააღმდეგ თამაშის მდიდარი გამოცდილება აქვთ და დიდოსტატებიც არაერთხელ დაუმარცხებიათ, ამჯერად, რომ იტყვიან, „თამაში არ წაუვიდათ“, ვაჟთა კვარტეტი კი, პირიქით, თანაბრად მოქმედებდა. ვაჟები დაწინაურდნენ და მათ საბოლოო გამარჯვებასაც ბევრი აღარაფერი უკლდა.

ასეთ ძნელ სიტუაციაში გამოიჩინეს თავი ჩვენმა საამაყო ქართველმა ქალებმა. ნონა გაფრინდაშვილი ენერგიულად და აგრესიულად თამაშობდა. სწორედ მისმა მოგებამ გამოასწორა საბოლოოდ საქმე. ნონა ბოლო ტურში უოტსონს ხვდებოდა, რომელიც პირველ წრეში უკვე დაამარცხა. უოტსონი, ცხადია რევანშისაკენ მიისწრაფოდა, მითუმეტეს, რომ ეს მოგება მას საერთოდ პირველ პრიზს მოუპოვებდა, მაგრამ ნონამ ხელმეორედ მოუგო ინგლისელს და პირველი პრიზიც სწორედ მას დარჩა!

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვება ამ შეჯიბრებაში დიდად დასაფასებელია — მან თავისი ჯილდოების მრავალრიცხოვან კოლექციას კიდევ ერთი ლამაზი სამკაული დაუმატა. 5 ქულა რვიდან — ასეთია მსოფლიო ექს-ჩემპიონის შედეგი.

რვიდან 4,5 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც ერთი შეხვედრა მოიგო და შვიდი ყაიმით დაასრულა.

ოთხმა ვაჟმა ოთხ-ოთხი ქულა მოაგროვა. საერთო ჯამში 16 ქულა დაუგროვდათ. ბოლო ტურში ნონა გაფრინდაშვილის ჩინებული მოგების შემდეგ ამდენივე, 16 ქულა აღმოაჩნდათ ქალებსაც.

მაშ ასე, 16 : 16! დიახ, მაგრამ ვის უნდა მიენიჭოს ასეთ პირობებში უპირატესობა? რა თქმა უნდა იმათ, ვისმა წარმომადგენელმაც პირად ჩათვლაში უკეთეს შედეგს მიაღწია. ერთი სიტყვით, „გადასწონა“ ნონას ძვირფასმა ხუთმა ქულამ, მისმა შეუპოვრობამ და მიზანსწრაფვამ. ქალებისა და ვაჟების საინტერესო შეჯიბრში მაინც ქალებს უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა. ფორმალურად მატჩი ყაიმით დამთავრდა, ფაქტიურად კი... ამიტომაც იყო, რომ ვაჟთა გუნდის კაპიტანმა ერიკ ლობრონმა ტურნირის დახურვისას ორგანიზატორებს სთხოვა ვაჟთა „სუსტ სქესს“ ნუ გააწბილებენ და ასეთივე პირობებში ერთხელ კიდევ მისცენ ქალებთან თამაშის უფლება. ლობრონი ირწმუნება, რომ ვაჟები ასეთივე შემადგენლობით (დაე, ქალების შემადგენლობაც ასევე იყოსო!) უკეთ წარმართავენ პაექრობას.

გივი გამრეკელი

# ახალგაზრდა მსახიობი



სპექტაკლი „ეთერიანი“. ცისანა გიგაური მარეხის როლში

თავიდანვე ვიტყვი, რომ თელავის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ცისანა გიგაური უთუოდ ნიჭიერი, მეტად საინტერესო და თავისებური ხელწერის შემოქმედია. მაყურებელი სათანადოდ აფასებს ცისანას ნიჭს და, საერთოდ, მის მოღვაწეობას ამ თეატრში.

მსახიობმა თავისი აქტიორული კარიერა დაიწყო გაუბედავად, წინააღმდეგობათა გადალახვის გზით, მაგრამ დასახული მიზნისაკენ შეუპოვარი ლტოლვით.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ც. გიგაურის მიერ განსახიერებულ მართას სახეზე (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.) სპექტაკლში ბევრია კომიკური სიტუაციები, ხუმრობა, სასიმღერო კუპლეტები, ცეკვა...

რეჟისორს — ნუგზარ ლორთქიფანიძეს მაღალი პროფესიული ოსტატობით დაუძლევია ნაწარმოების ყველა თავისებურება და სირთულე, სპექტაკლის რიტმულობა, აზრობრივი დატვირთვა და სანახაობითი სცენები ჰარმონიულ ელფერს აძლევს მოქმედების მთლიანობას.

მართა — მრავალპლანიანი კომიკური სახეა. ამ როლის შესრულების დროს, გარდა რეჟისორის დახმარებისა და მსახიობის ინტუიციისა, აუცილებელია გარდასახვის ხელოვნება, რომელსაც ოსტატურად ფლობს ცისანა გიგაური. მართას მრავალფეროვანი ხასიათი მსახიობისაგან ითხოვს ანალიზურ მიდგომას, რაც ც. გიგაურმა ზედმიწევნით შეძლო. სცენაზე ც. გიგაურის ყოველი გამოჩენა მაყურებელთა დარბაზის გამოცოცხლებას იწვევს. სახის გამოძერწვაში მსახიობს ეხმარება გამომსახველი პლასტიკა, დახვეწილი რიტმი, სახიერი მიმიკა.

ბევრი პატივისმცემელი გაუჩნდა თელავში ცისანა გიგაურს. მოუთმენლად ელიან ხოლმე მის გამოჩენას სცენაზე, განსაკუთრებით ახალ სპექტაკლში, ახალ როლში.

არანაკლები წარმატება ხვდა ცისანა გიგაურს მარიკა ბარათაშვილის პიესაში „ფრთხილად, სასიკვდილოა“, ეს დადგმაც რეჟისორ ნუგზარ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. მაყურებლის ყურადღება მიიპყრო ც. გიგაურის ახალ ამპლუაში ხილვამ — აქ მან ჩიორას დრამატული სახე შექმნა. მისი თამაში ემოციურ ზემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე. ამ როლით მსახიობის შესაძლებლობის დიაპაზონი გაფართოვდა, ვინაიდან ც. გიგაური მანამდე სახასიათო მსახიობად გვევლინებოდა. ც. გიგაურს განსაკუთრებით კარგად გამოუვიდა ჩიორას სიგიჟის სცენა, სადაც იგი სრულყოფილად აღწევს გმირის ხასიათის დრამატულობის გადაუჭარბებლად და ზუსტად გადმოცემას.

თელაველ მაყურებელს განსაკუთრებით კარგად ახსოვს მის მიერ განსახიერებული როლები, როდა — ვ. დელმარის „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს“... (რეჟ. თ. მესხი), მაშა — გ. მამლინის „ეი შენ, გამარჯობა!“ (რეჟ. ა. ნინუა), ქეთინო — ალ. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“ (რეჟ. ნ. დვისაძე), შურა ტიჩინკინი — ს. მიხალკოვის „სომბრერო“ (რეჟ. ნ. ლორთქიფანიძე), ექთანი — თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“... (რეჟ. ლ. მირცხულავა), დედაბერი — გ. დოჩანაშვილის „თავფარავნელი ჭაბუკი“ (რეჟ. ალ. ქანთარია), მარეხი — ხალხური პოეზიის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ეთერიანი“ (რეჟ. ნ. ლორთქიფანიძე).

თბილისელებმა ამ სამიოდე წლის წინ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე იხილეს თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლი , რ. ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“., რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ალექსანდრე ქანთარიამ, ცისანა გიგაურმა კარგად წარმოსახა მოხუცი ქალის პატარა როლი.

ვინც ამ თავმდაბალი და უპრეტენზიო მსახიობი ქალის შემოქმედებას ახლოს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ მისთვის მართლა არ არსებობს დიდი და პატარა როლი, იგი ყველაზე უმცირეს ეპიზოდსაც კი თამაშობს მთელი თავისი არსებით, ერთი სიტყვით ცხოვრობს იმ გმირის ცხოვრებით, რომელსაც ის ასახიერებს.

გარდა „ჩემი წყალ-ჭალის ხმებისა“ თელაველებმა თბილისელებს კიდევ ერთი ახალი დადგმა ჩამოუტანეს საგასტროლოდ ყოფნის დროს: რეჟისორ ალ. ქანთარიას მიერ დადგმული ლაშა თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“.



„ფრთხილად, სასიკვდილოა!“ ცისანა გიგაური ჩიორას როლში





დრამატურგი მარიკა ბარათაშვილი და მსახიობი ცისანა გიგაური



ცისანა გიგაური რ. ერისთავის სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

მსახიობმა მთელი არსებით ... თავისი აქტიორული წვლილი შეიტანა წარმოდგენაში. სპექტაკლში დადგმული რეჟისორის ალექსანდრე ქანთარიას მაღალპროფესიულ რეჟისორულ ხელწერასთან ერთად გამოირჩეოდა მოთა გეგიაძის მიერ დიდი გემოვნებით დადგმული სასცენო მოძრაობები, რაც სპექტაკლს სანახაობითობის გარდა აზრობრივ დატვირთვასაც მატებდა. ამ შემთხვევაში ც. გიგაურმა მაქსიმალურად გამოიყენა თავისი პლასტიკური მონაცემები და ეპიზოდური სახე სცენური მოძრაობის საშუალებით შექმნა, რითაც მისი გმირის ხასიათი განსხვავებულ ასპექტში წარმოაჩინა. ესეც კიდევ ერთხელ მსახიობის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

დიდი ხანი არ არის, რაც კინოს მოყვარულებმა ეკრანებზე იხილეს ახალი ქართული კინოკომედია „ზოგი ჭირი მარგებელია“, რომელიც ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით გადაიღო კინორეჟისორმა პავლე ჩარკვიანმა. ფილმში მაყურებელმა სხვა ცნობილი ქართველი კინომსახიობების გვერდით იხილა ცისანა გიგაურიც, რომელმაც თავად ზურაბ ფშატაძის მოახლე გოგონას სახე წარმოადგინა. ეს არც თუ ისე მცირე ეპიზოდი კინოში პირველი ცდა იყო მსახიობისათვის, და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ცდამ გაამართლა.

ფილმში ჭარბად არის კომიკური სცენები, სადაც ერთ-ერთი მთავარი მისია აკისრია ც. გიგაურის მოახლე გოგოს ეკრანულ სახეს, იგი ფილმში უშუალოა და სადა, მოცემულ სიტუაციებში მოქმედებს თავისუფლად, რაც მაყურებელში იმის შთაბეჭდილებას იწვევს, თითქოს გმირი მის თვალწინ ცოცხლდება...

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ც. გიგაურისათვის, როგორც მსახიობისათვის ის არის, რომ იგი მშვენივრად ირგებს ხოლმე ყოველი გმირის კოსტიუმს. ასეთი თავისებური მორგების საშუალებასაც ისევე იყენებს როლის ხასიათის გახსნისათვის, როგორც ხმას, პლასტიკასა და მიმიკას.

ც. გიგაური ისეთივე ხალასი, საყვარელი და გულწრფელია ცხოვრებაში, როგორც მის მიერ განსახიერებული სახეები სცენასა და ეკრანზე. იგი ძალიან ერთგული და მეგობრულია, რაც მთავარია, საქმიანია, მომავლის იმედით განმსჭვალული ცდილობს ბევრი გაიგოს, ბევრი ისწავლოს, ბევრი იშრომოს. მისი ცხოვრების გზა ჭეშმარიტი შემოქმედის გზაა, რომელიც სავსეა წინააღმდეგობებით. სწორედ ამ წინააღმდეგობებში ხედავს ის ცხოვრების აზრს, განსაკუთრებით, შემოქმედის ცხოვრების არსს.

ოთარ მაცაბერიძე



18723
საქ. სსრ ... მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლირიკა

## სიყვარულო, მოდი ღმერთად

რა ვქნა, ვაო, ცისფერთვალავ,
რას მიქვია ჭალარა?
სიყვარულის გადაჩვევა?
არა, არა და არა!
ახლაც მახსოვს, გული ფეთქდა
მაშინ, როცა პატარა
მივსდევდი, ვერ ვეწეოდი...
ბედმა სხვას გაატანა!
ხოლო, ვისაც მივუძღვენი
მზესთან ერთად — სინაზე,
ისე გაჰქრა ჩემი ძლევენით,
როგორც ჩრდილი სილაზე...
ახლაც ისევ გულის თრთოლვით
მიღიმიან იანი,
სიყვარული მელის ყოვლით
მაღალი და ფრთიანი!
ისევ გამოუდარია,
ძველი თოვლი გამდნარია,
გულში სიკეთე და ცეცხლი,
სიყვარული რამ დალია?
ნუშების და ტყემლის ფერთა,
ყაყაჩოთა ხანძარია!
ვიცი მეყვარება მეტად!
ბოლო სიტყვა მართალია!
პირველი, ან ბოლოთქმისთვის
ღირდა ქვეყნად მობრძანება!
აბა, რისთვის? აბა, ვისთვის
უთვალავი ბრძოლა, ვნება?!
სიყვარულო, ჯერ ადრეა
„მშვიდობით" და „ნახვამდის"!
ეს ბილიკი ჩემამდეა,
მოსვიდოდე, მნახავდე!
მხოლოდ ერთხელ, ისიც სიზმრად
ვნახე შენი ჭრელი ფრთები!
აღარ მახსოვს რით მომხიბლე...
გიხსენებ და ისევ ვტკბები...
ცისარტყელის კაბა მეცვა,
თავს მიმკობდა გვირგვინი,
მიცინოდნენ: მაღლით — ზეცა,
დაბლით — მთები ბიბინით...
ხელში ოქროს ჩანგი მეპყრა,
თმებად — მთვარის სხივები,
სიზმრეულის ძღერად სპექტრად
ვარსკვლავების მძივები.
გახსოვს? რაშით მომიფრინდი,
ფაფარაშლილ თეთრი რაშით!
„ინდი-მინდი, ფერად შინდი"
გვილიმოდა ზეცა მაშინ...
...ნუშების და ტყემლის ფერთა,
ყაყაჩოთა ხანძარია!!
სიყვარულო, მოდი ღმერთად,
სათამაშოდ არ მცალია!

ლია სვანიძე





# სწორად მოვიქეცი თუ არა?

სიყვარულის პრობლემა ამოუწურავია. იმ მრავალრიცხოვანი წერილებიდან, რომლებსაც რედაქცია ამ თემაზე იღებს, დღეს ერთ-ერთ მათგანზე ვილაპარაკებთ, ახალგაზრდა ქალი რომ გვწერს და ხელს არ აწერს, ჩვენ გვეკითხება, სწორად მოვიქეცი თუ არაო?

ნინოს უყვარდა, ნამდვილად უყვარდა ვაჟი. ბედნიერი იყო ამ სიყვარულით, რადგანაც ისიც უყვარდათ, და, განა შეიძლება იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე საყვარელი ადამიანის ერთგულებაა? დიახ, იყო ერთგულება მათ შორის. ვაჟს მისი შერთვა სწადდა... და მაინც შემოიპარა საიდანღაც „წყეული ეშმაკი", ოღონდ ეს „ეშმაკი" ამჯერად ძალიან ორიგინალური სახისა გახლდათ...

ვაჟი დარწმუნდა გოგონას წრფელ სიყვარულში და ცოლად გაყოლა სთხოვა. გოგონა დაფიქრდა, ინსტიტუტში მისაღები გამოცდებისათვის ემზადებოდა და ცოტა ხნით საქმის გადადება ითხოვა. დაე, ასე იყოსო — არ გაძალიანებია ბიჭი. და, როცა დრო გავიდა, როცა გოგონა სტუდენტი გახდა, როცა ვაჟს ოჯახმაც შეახსენა, შვილო, ცოლის მოყვანის დრო დაგდგომიაო, ადგა ვაჟი და კვლავ ნინოსთან მივიდა... რამდენადაც ვიცით, ვაჟს ნინო უყვარდა, როგორც ნინოს — ვაჟი, მაგრამ მაინც მოხდა გაუგებრობა...

მშობლებს ნურაფერს დავაბრალებთ, არ დაუშლიათ მათთვის არაფერი.

ორივე მხარე ენდობოდა თავის შვილს და გაგიგონიათ?

სწორედ ეს ნდობა აღმოჩნდა გოგონას პირველი და უმწიკვლო სიყვარულის მეტოქე.

დიახ, დღეს რომ იშვიათობად მიგვაჩნია, ქართულ საოჯახო ტრადიციებზე აღზრდილი ყოფილა ჩვენი ნინო. მშობლების ღვაწლის და ამაგის დამფასებელი, პატივისმცემელი და მაინცდამაინც ადექი და პირდაპირ ქუჩიდან გამომყევი ცოლადო — ბიჭმა რომ შესთავაზა, დაიბნა გოგო. რატომ ქუჩიდან, დედამ უკვე იცის ჩვენი ურთიერთობის ამბავი, მამასაც ვეტყვით, ძმასაც... თუ ოჯახის წევრებს არ დაეკითხებოდა, ვერ წარმოედგინა ასეთი დიდი საქმის გადაწყვეტა ქალიშვილს. ის დიდი გულწრფელობა და ერთგულება, რომლითაც ახლა ვაჟი უყვარდა, მშობლებმა არ ჩაუნერგეს? მშობლებმა არ ჩაუნერგეს კეთილხინდისიერება, პასუხისმგებლობა და ნდობა? არა მგონია, რომ ასე ფაქიზად შეყვარებოდა ვაჟი გოგონას, იმ დალოცვილი მშობლების მადლიც რომ არ ერიოს მის გულში. უიმათოდ არ იქნებოდა ასეთი ჭკვიანი, ზრდილი, თადარიგიანი, თორემ, ალბათ, მეცხრე კლასიდან ამ ვაჟზე შეყვარებულს, ახალგაზრდული ახაკით ხელდარეულს რამდენჯერ შეეძლო ქუჩიდან გაჰკიდებოდა უფროსების დაუკითხავად და ცხრა მთის იქითაც გაჰყოლოდა. უყვარდა, მაგრამ განა სიყვარული ბოროტებაა, რომ ჩუმად იმოქმედო და საკუთარ აღმზრდელებს გული მოუკლა?

ვერ წარმოედგინა გოგონას, თუ ვაჟს არ დაიყოლიებდა. და რაოდენი იყო მისი გაკვირვება, როცა ნინოს წერილები, რომელსაც აქამდე გულისჯიბით ატარებდა ბიჭი, ამოიღო, დახია, გაბრაზებულმა გოგონას თვალებში მიაყარა და გაეცალა, როგორ თუ უარი მაკადრეო!..

გაცბუნებული, თვალცრემლიანი ნინო იდგა, მიმავალი ბიჭის ზურგს მისჩერებოდა და ვერც კი წარმოედგინა, თუ ყველაფერი ეს სინამდვილე იყო. ვაჟის აუხსნელი სიმკაცრე გულს უკაწრავდა... „ნუთუ დამტოვა?" — უკვირდა გოგონას, და ჩვენც გვიკვირს, მკითხველო... ანდა, როგორ არ გიკვირდეს!.. სამი თუ ოთხი წელი გიყვარდეს და ერთ საღამოს ყველაფერი გაასცამტვერო?

მაგრამ მოვითმინოთ. ბიჭს გავყვეთ, რომელსაც იმ ცივი ზურგის წინ მკერდში თბილი, მაგრამ მამაკაცური, ჯიუტი გული ბაგაბუგით უცემდა. „დასწყევლოს ღმერთმა, ბედი არ მქონია, სულ არ მოვიყვან ცოლს. მშობლებს შეუთანხმდიო, კი ბატონო, მაგრამ მერე, ხომ ვიცი, დაიწყება მთელი ცერემონიები. ოქროს ბეჭედი, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, ყელსაბამი, საყურეები და ათასი რაღაც-რაღაცეები. ახლა ყველაფერ ამას რომ მიართმევ და ნათესავებისა და მტერ-მოყვარეთა ცნობისმოყვარეობის ჭიას მიაძინებ, მერე ქორწილზე უნდა იფიქრო.... იქნებ ერთბაშად ისეთი ქორწილი ვერ შემკადრო ჩვენს მოყვრებ-მეზობლებს, ბაბუაჩემის მამა — ერისტო ბაბუა რომ გვიყვებოდა მე და დედას: თურმე სამ მამალს რამდენიმე წიწილა მიაკლეს, კეცებიდან ცხელ-ცხელი, მთვარესავით მოღიმარი ხაჭაპურები ამოჰქონდათ. ქორწილისათვის გადანახულ საგანგებო ჭურიდან დოქებში ხაპით ჩამოსხმულმა ღვინის სურნელმა სუფრას ეშხი და ლაზათი შემატაო და ორმოცამდე კაცმა სუფრული სიმღერების გუგუნით მთელი სოფელი გააბალისაო — ტრაბახობდა ბაბუა" ათ მამალს როგორ ვერ

დავკლავ? ორმოცამდე კაცს როგორ ვერ გავუძლვებით, — ფიქრობდა ბიჭი. — ვაი, ნეტავი ახლა შეიძლებოდეს ასეთი ქორწილის გადახდა!

დაანებე, ბიჭო, თავი ფანტაზიას! — თავს შეუძახა გაცეცხლებულმა და შუბლში ხელი იტკიცა...

რა მოხდებოდა გამომყოლოდა, რა მოხდებოდა! თუ ვუყვარდი... თუ... ალბათ...

ბიჭი ლამის გმინავდა. ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ ეს ბეჭედი რაღა ხათაბალაა, ფიქრობდა. იმის მერე მაინც სულ გაგიჟდა, გუშინ საიუველირო მაღაზიაში მისი მოწონებული ბრილიანტისთვლიანი ბეჭდის ფასი რომ უთხრა გამყიდველმა... ერთი წლის ხელფასი რომ დააგროვოს უკლებლივ, მაინც ვერ იყიდის... იმ მაღაზიისკენ გახედვაც შესძულდა.

მკითხველი ალბათ ჩვენთან ერთად გრძნობს, რომ კეთილშობილ ნინოს ბეჭედზე არასოდეს უფიქრია, მითუმეტეს, ბრილიანტზე. გოგონა თავისი დიდი ხნის ლამაზ სიყვარულზე ოცნებობდა. ახლაც არა სჯერა, თუ ბიჭმა საბოლოოდ მიატოვა და ის ხომ სულაც არ იცის, რომ მათი სიყვარულის ჩაშლის მიზეზი ბრილიანტის ბეჭედია! რომ სცოდნოდა... მაგრამ, ალბათ, ვერ დაარწმუნებდა ნინო ვაჟს, რომ დღევანდელი საქორწინო რიტუალის ჩატარება უბეჭდოდაც და უსამკაულოდაც შეიძლება. ძნელი იყო მეშჩანობის იმ ბარიერის გადალახვა ვაჟის ირგვლივ რომ ამოზრდილიყო. დღეს ხომ ბევრი ფიქრობს, ცოლს თუ თხოულობ, ჯიბეც სქელი უნდა გქონდესო. ვაჟი მარტოხელა დედის შვილი იყო და ახალგაზრდა კაცს აბა რა სქელი ჯიბე უნდა ჰქონოდა. ამიტომ დაადგა ასეთ გზას — უხმაუროდ მოეყვანა ცოლი.

ერთი წუთით ვიფიქროთ, რომ ამ ორი ახალგაზრდის გათიშვის მიზეზი ბრილიანტის ბეჭედი კი არა, ვაჟის ახირება იყო, მისი თავისებურება, მოულოდნელი დაქორწინების ეგზოტიკური სახისადმი ლტოლვა, მაშინ რა ვიფიქროთ? სწორად მოიქცა თუ არა ნინო? მშობლების ხათრმა მას ხომ გულისსწორი დააკარგვინა? მკითხველო, გვაინტერესებს თქვენი აზრი.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ბევრი შემთხვევაა, როცა ქალვაჟის დამოკიდებულების პრობლემა ყოველგვარი თავმდაბლობის ჩარჩოდან ამოვარდნილ საქორწინო რიტუალების პრობლემასთან არის დაკავშირებული. დღეს ხომ საცოლედ შეღერილი ბევრი კარგი ვაჟი არასრულფასოვნების კომპლექსით იტვირთება მას შემდეგ, როცა მათი ნაცნობ-მეგობარი გოგონები მათივე თვალწინ უშინაარსო, მაგრამ მდიდარ ოჯახიშვილებს მიჰყვებიან და ხდება პირიქითაც.

დიახ, ვერ უარყოფთ: სიმდიდრე ძალაა, მაგრამ სიყვარული ხომ ყოველგვარ სიმდიდრეზე უმაღლესი მშვენიერებაა?

გულნარა სტურუა

დავით ადამაშვილის ფოტო





სილვი ჟანი

ვ. ბენზიურის ფოტო

# ჩვენი სტუმარი

თბილისში რამდენიმე დღით ჩამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცკ წევრი, საფრანგეთის ქალთა ჟურნალის — „კლარას“ მთავარი რედაქტორი სილვი ჟანი. მან მოინახულა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია, გაეცნო მის მუშაობას, სადღეისო ამოცანებს, იმ პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნიდან, დაინტერესდა რესპუბლიკის ქალთა საყოფაცხოვრებო საკითხებით, ყოველივე იმით, რაც ქეთდება ქალთა შრომის შესამსუბუქებლად შვილების აღზრდის, ოჯახის მოვლის თვალსაზრისით, შეეხო საერთოდ ქალთათვის თავისუფალი დროის გამონახვის აუცილებლობას. ეს დაინტერესება ალბათ ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ თავად სილვი ჟანი ოთხი შვილის დედაა.

თავის მხრივ რედაქციის მუშაკებმა სთხოვეს სილვი ჟანს ეამბნა ფრანგ ქალთა ცხოვრების, სამშვიდობო მოძრაობის, მათი სულიერი მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების შესახებ, რაზედაც სტუმარმა ამომწურავი პასუხი გასცა. გარდა ამისა, მან ილაპარაკა ჟურნალ „კლარას“ სპეციფიკაზე, მის შინაარსზე, მხატვრულ გაფორმებაზე, ქალთა აქტივთან დამოკიდებულებაზე, 48 გვერდიანი ყოველკვარტალური ჟურნალის გამოცემის პრობლემებზე.



## სასკოლო რეფორმის საპასუხოდ

# სკოლა და ოჯახი

ბავშვის სკოლაში წასვლის პირველი დღიდან მისთვის ახალი, მანამდე უცნობი ცხოვრება იწყება. მშობლისა და პედაგოგისათვის კი დასაბამს იღებს მომავალი პიროვნების ჩამოყალიბების მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პერიოდი.

ბავშვის საშუალებით ერთმანეთს 11 წლით უკავშირდება სკოლა და ოჯახი, მშობელი და პედაგოგი... ჩნდება საერთო საზრუნავი, მიზნები და ამოცანები, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როდესაც პედაგოგი და მშობელი, სკოლა და ოჯახი ვერ აღწევს აღმზრდელობითი ძალების გაერთიანებას და ბავშვისადმი ერთიანი მოთხოვნების შემუშავებას. მშობელსა და პედაგოგს შორის კი მაშინ ძნელდება საერთო ენის გამონახვა, როცა ორივე მხარე მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან აფასებს ბავშვის ხასიათს, არ ითვალისწინებს მის ინდივიდუალობას, იმ გარემოს, რომელშიც იგი ცხოვრობს, სწავლობს და თავისუფალ დროს ატარებს. აი, ამის ერთ-ერთი ტიპიური მაგალითი:

გიას ძალზე უძნელდებოდა გაკვეთილებზე მშვიდად ჯდომა და ყურადღების მობილიზება. იყო ზედმეტად მოძრავი, გამოირჩეოდა უდისციპლინობით. ამ თვისებათა მიხედვით მსჯელობდა პედაგოგი ბავშვის მშობელთან და მისგან ითხოვდა თანადგომას, რაც მშობლისათვის წყენისა და უკმაყოფილების მიზეზად იქცა. მას არ შეეძლო დაეჯერებინა გიას უწესობა და უდისციპლინობა. ეს იმიტომ, რომ მას არ ჰქონია შემთხვევა დაკვირვებოდა შვილის ქცევას სკოლაში. არც ის მიუღია მხედველობაში, რომ ოჯახში ბავშვის მორჩილება შიშზე იყო დაფუძნებული.

გიას დედა პედაგოგისადმი უნდობლობით განიმსჭვალა. ცდილობდა იშვიათად მისულიყო სკოლაში შვილის ამბის გასაგებად. პედაგოგმა მშობელი ჩათვალა შვილის აღზრდისადმი უყურადღებო, გულგრილ ადამიანად და საკითხი სკოლის პედსაბჭოს მსჯელობის საგნად აქცია, რითაც მათ შორის კონფლიქტი უფრო გამწვავდა...

მშობელსა და პედაგოგს შორის გაუგებრობას ზოგჯერ ბავშვის ცოდნის შეფასების საკითხი იწვევს. იმ შემთხვევაში კი, როცა ორივე მხარე გაარკვევს კონფლიქტის მიზეზს, შესაძლებელი ხდება მისი თავიდან აცილება და აღმზრდელობითი ძალების ბავშვის სასიკეთოდ წარმართვა.

ასე მოიქცნენ, მაგალითად, ნატოს დედა და მშობლიური ენის მასწავლებელი. სკოლიდან დაბრუნებული გოგონა სადილობის შემდეგ გაკვეთილების მომზადებას შეუდგა. ჯერ წერითი დავალებები შეასრულა, მერე ის იყო მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელო აიღო, რომ ეზოდან თანატოლებმა დაუძახეს... ნატოს ძალიან უნდოდა ეზოში ჩასვლა, მაგრამ საჭირო იყო დედის დარწმუნება, რომ გაკვეთილები მომზადებული ჰქონდა, უჩვენა დედას წერითი ნამუშევრები, ლექსიც უშეცდომოდ წაუკითხა და სათამაშოდ გაიქცა.

მეორე დღეს ნატომ მშობლიურ ენაში ორიანი მიიღო. ნატოს დედა აღშფოთდა, პედაგოგთან მივიდა მიზეზის გასარკვევად, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მის შვილს დაუმსახურებლად დაუწერეს ორიანი.

პედაგოგთან საუბარში გაირკვა, რომ ლექსი ბავშვს ადრე უსწავლია, ხოლო იმ დღისათვის მიცემული მასალა არ მოუმზადებია.

რატომ შეეშინდა ნატოს დედისათვის სიმართლის გამხელა, როდესაც დაბალი ნიშანი მიიღო? აქ ისევ მშობლისადმი შიშთან და არაგულწრფელ დამოკიდებულებასთან, ბავშვის ცხოვრების რეჟიმისა და მის ინტერესთა შეუთავსებლობასთან გვაქვს საქმე. მართალია, მშობელმა და პედაგოგმა გაარკვიეს გაუგებრობა და ბავშვსაც აპატიეს შეცდომა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამ შემთხვევის გამო მშობელსა და პედაგოგს შორის უნდობლობა ჩამოვარდნილიყო, რაც უარყოფითად იმოქმედებდა მოზარდის ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე.

ზოგჯერ პედაგოგსა და მშობელს შორის სადაო ხდება ის საკითხი, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვის აღზრდაში. მშობლის აზრით, სკოლა სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელმაც აღზრდა-განათლება უნდა მისცეს მომავალ თაობას. პედაგოგს კი მიაჩნია, რომ პირველ რიგში მშობლები არიან მოვალენი წესიერად აღზარდონ შვილი და სკოლაში მისვლამდე ოჯახში დაეუფლოს ბავშვი საზოგადოებაში მისაღებ ქცევის ელემენტარულ ჩვევებს.

მშობლისა და პედაგოგის შეხედულებებში შეცდომა მათ ცალმხრივობაშია, რადგან ბავშვს არც მხოლოდ ოჯახი და არც მარტო სკოლა არ ზრდის. სკოლას, ოჯახსა და მთელ საზოგადოებრიობას დააკისრა საბჭოთა მთავრობამ, კომუნისტურმა პარტიამ პასუხისმგებლობა მომავალი თაობის აღზრდაში. ოჯახი საზოგადოების ის უჯრედია, სადაც მომავალი მოქალაქე იღებს სათავეს, სკოლა ის საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ემსახურება პიროვნების, მოქალაქის, მშობლის ჩამოყალიბებას.

თუ სკოლა ვალდებულია დაეხმაროს ოჯახს ბავშვის აღზრდაში, ყოველი მშობელი მოვალე- იყოს პედაგოგის თანაშემწე სკოლაში. ამიტომ ითვალისწინებს „ზოგად საგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა — მოსწავლეთა აღზრდაში მშობლების პასუხისმგებლობის ამაღლებისა და ოჯახისადმი სკოლის დახმარების საკითხს, მასში მითითებულია „აღზრდის ეფექტიანობის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული მოსწავლეების მიმართ ოჯახის, სკოლის, საზოგადოებრიობისა და შრომითი კოლექტივების მოთხოვნებსა და შესათანხმებელ ღონისძიებებზე“.

ლეილა სოსელია,

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი.

## წერილი კომენტარით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ შეჰკადრა ნანატრ ბავშვს ასეთი აკვანი, ტლანქი და გაურანდავი?

ვინ დაამზადა, ვინ იშრომა, რატომ დახარჯა დრო, ენერგია და მასალა. ვის სჭირდება წუნიანი ნაწარმი?

ხუთი თვის გოგონა გვსაყვედურობს და სამართლიანად, აკვანი არ მოსწონს. ალბათ, მისი ტოლი პატარებიც იწუნებენ საძინებელს და მათი მშობლებიც ისევე „ალამაზებენ“. როგორც ეს შარიქაძეების ოჯახში ვნახეთ — სახელურებზე გადაკრული ნაჭრები, ბავშვმა რომ პაწაწა ხელები არ დაიშავოს.

ახლა, გარდაქმნის ეპოქაში მთავარი ხარისხია, საუკეთესო პროდუქციისათვის ილვწიან ყველგან — ფაბრიკებში, ქარხნებში.

ნუთუ მომხმარებელთა უკმაყოფილების ხმამ არ შეაღწია ამ საწარმომდე, სადაც ასეთ წუნიან აკვნებს, მერხებსა და სხვა ინვენტარს ამზადებენ?

ამ საწარმოს ხელოსანთა უგულობამ გააოცა ახალგაზრდა მშობლები და რედაქციას წერილი მოსწერეს;

„მე და ჩემი მეუღლე სტუდენტები ვართ. აგვისტოში გოგონა შეგვეძინა, პირველი ნანატრი შვილი. სანამ სავადმყოფოდან გამოვეწერებოდი, ჩემს მეუღლეს თადარიგი დაუჭერია და ბავშვთა სამყაროში ახალშობილისათვის აკვანი შეუძენია. ლაპარაკია რუსულ აკვანზე „ლიულკა“, მისი ღირებულება 19 მანეთია.

— მე როცა აკვანს შევხედე, მაშინვე არ მომეწონა — ტლანქი, გაურანდავი და გაულაქავი. ჩემი მეუღლე ბევრს ეცადა გაერანდა და გაეპრიალებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მერე ნაჭრები გადავახვიეთ, არც ამან უშველა. ქსოვილი ზედ შერჩა, გაბურძგვნილ-გაბუმბლული, ნეტა განახათ რა სასაცილო შესახედავია!

შევწუხდით, აღარ ვიცოდით რა გვექნა, საქმე მარტო ფუჭად გადაყრილი ფული როდია, იმ ადამიანების უპასუხისმგებლობამ და უსულგულობამ აღგვაშფოთა, ვინც აკვანი დაამზადა და ვინც ვიზა მისცა გასაყიდად.

მათი მისამართი დავადგინეთ და თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკას სამდურავი წერილი მივწერეთ.

იქნებ ამ წერილმა დააფიქროს ფაბრიკის მესვეურნი და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ მოვალეობას — ბავშვებზე ზრუნვა რომ ჰქვია".

მართლაც, თბილისის საკოლო ინვენტარის ფაბრიკაში დაუმზადებიათ წუნიანი აკვნები.

ამიტომ ვთხოვეთ, კომენტარი გაეკეთებინათ შემოსულ წერილზე.

აი, მათი პასუხი:

„თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაცია გთხოვთ აცნობოთ მოქალაქე ნ. შარიქაძეს:

შემოსული შენიშვნების საფუძველზე შევისწავლეთ საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუარესების მიზეზები, რომელთა ნაწილი დაკავშირებული იყო შემოსული ნედლეულისა და მასალების უხარისხობასთან, ხელმძღვანელობის არაორგანიზებულობასთან, ტექნიკური რეჟიმის დარღვევასთან.

ამიტომ საამქროს უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლებულია ამხ. ზ. კაციტაძე, საყვედური გამოეცხადა ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს ამხ. ზ. გიორგაძეს, მატერიალური სტიმულირება მოეხსნა წუნმდებელს ამხ. ე. ჩლაიძეს, დაისახა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი ტექნოლოგიური რეჟიმის სრული დაცვისათვის, ხის ძელაკოვანი დეტალები შეიცვალა პლასტმასით, გაუმჯობესდა ხეხვის და ლაქის დასხმის პროცესები.

საბავშვო ავეჯის საამქროს კოლექტივი სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხს, ფაბრიკის ხელმძღვანელობა ყველა ზომებს მიიღებს იმისათვის, რომ ასეთი ფაქტი არ განმეორდეს.

ტექნიკური კონტროლის უფროსი დაუკავშირდება ამხ. ნ. შარიქაძის ოჯახს და ბავშვის აკვანს ახლით შეუცვლის".

ფაბრიკის წარმომადგენელმა მართლა სთხოვა შარიქაძეებს, თუ თქვენი სურვილი იქნება ახალ აკვანს მოგიტანთო.

მაგრამ საწოლი ჯერ-ჯერობით არ შეუცვლიათ, იქნებ იმიტომ, რომ არა აქვთ უკეთესი აკვანი?

ჩვენი აზრით კი, დაწუნებული აკვანი უნდა შეცვალონ ახლით. რადგანაც შარიქაძეები ახალგაზრდები არიან და მომავალში კიდევ დასჭირდებათ აკვანი...

საწარმოში ალბათ კიდევ ერთხელ იმსჯელებენ ამ საკითხზე, იმსჯელებენ იმაზეც, რომ წლების მანძილზე მოსწავლეები და მათი მშობლები ემდურიან სკოლის გაურანდავ მერხებს, რის გამოც გოგონებს წინდები და კაბები წარამარა ეხევათ.

გარდაქმნის, საჯაროობისა და ხარისხისათვის ბრძოლის ეპოქაში, ფაბრიკას არავინ აპატიებს წუნიანი პროდუქციის დამზადებას.

იმედი გვაქვს, საუკეთესო ხარისხის აკვნები და მერხები ექნებათ ჩვენს შვილებს.

ი. გიგუში

## საქართველოს ისტორიიდან

# კედელზე დარჩენილი სევდა



ახმეტის რაიონის ღირსშესანიშნაობათა შორის მატნის „ცხრაკარა" ერთერთი უძველესი ისტორიული ძეგლია, რომელიც მატნის დასავლეთით, ატეხილ ტყეში მდებარეობს. ვინც ოციოდე წლის წინათ ამ მონასტერში ყოფილა, მთავარი ტაძრის ინტერიერში, სამხრეთის კარის მარცხნივ, შავი საღებავით შესრულებულ ასომთავრულ წარწერას შენიშნავდა. ახლა მისი კვალიც აღარ ჩანს. საბედნიეროდ, წარწერა შემოგვინახა აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის შესანიშნავმა ნაშრომმა „კახეთის არქიტექტურა". ქართული მატერიალური კულტურის დიდ მკვლევარს 1920 წლის ზაფხულში მოუნახულებია „ცხრაკარა" მისი შესწავლის მიზნით. მაშინ წარწერა დაუზიანებელი ყოფილა და გ. ჩუბინაშვილს ქაღალდზე გადაუტანია. წარწერა ქარაგმულია და გაშიფვრის შემდეგ ასე იკითხება:

„ქრისტე ღმერთო და ცხრაკარის ღმრთის მშობელო, შეიწყალე ბატონის გარსევანის ასული ანა, ყოფილი ანასტასია და ვინცა წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ ბატონის მამისა და დედისა ჩემისათვის, ჩემის ობლის თავისათვის, თქვენის იესოს სიყვარულისათვის. და ვინცა ღმრთის მშობელი ილოცოთ, ჩემისამც ცოდვილისათვის განიკითხვის, წმინდაო ჯვარო".

ვინ იყო ანა, ყოფილი ანასტასია, ესოდენ სევდა რომ დაუტოვებია კედელზე? ალავერდის ტაძარში მდებარე ერთმა საფლავის ქვამ ამ კითხვას ნათელი მოჰფინა.

იოსებ ალავერდელის საძვალის მახლობლად ფილაქანში ჩაჭედილია ნამტვრევებად ქცეული მარმარილოს გრძელი დაფა, რომელზეც მხედრულად ამოკვეთილია ვრცელი ეპიტაფია. ნაწერი საკმაოდ დაზიანებულია, აკლია ასოები, სიტყვები, მაგრამ წაკითხვა მაინც შეიძლება. ამ ეპიტაფიიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი:

...„მეფეთ მეფის ერეკლეს თანამეცხედრე და დედა კახთ მეფის დავითისა და სასურველი მშობელი საქართველოს დედოფალთ დედოფლის ელენესი, რომელმან შემიმკო საფლავი ესე ჩემი. ქართლისა და კახეთის შეერთების მოსურნე მხევალი და მსასოებელი წმიდისა ღმრთის მშობლისა დედოფალი ანა, ყოფილი ანასტასია".

საეჭვო არ არის, რომ ორივე დოკუმენტში საქმე გვაქვს ერთსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე პიროვნებასთან, ეს არის ერეკლე I-ის თანამეცხედრე დედოფალი ანა, რომელმაც ბოლომდე გაიზიარა გვირგვინოსანი მეუღლის ბედი, მასთან ერთად ზიდა ქვეყნის მეთაურის მძიმე ტვირთი. „ცხრაკარის" მონასტრის წარწერის გვერდით გამოსახული ნატიფი გარეგნობის ქალის ფიგურაც მისი უნდა იყოს.

* * *

სვებედნიერი მეფობა არ ჰქონია თეიმურაზ I-ის შვილიშვილს — ერეკლე პირველს.

ისპაჰანში ხანგრძლივი იძულებითი ყოფნის დროს შეირთო ერეკლემ ანა; ერეკლესა და ანას ისპაჰანში სამი შვილი შეეძინათ: დავითი, ელენე და ლუარსაბი. თეიმურაზი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ეყოლათ.

ანა ჩვენს ყურადღებას იპყრობს უპირატესად იმით, რომ სახელმწიფო მოღვაწე იყო, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში. როცა ლეკთა თარეშით შევიწროებული მისი უფროსი შვილი, კახეთის მეფე დავითი, ისპაჰანში წავიდა დახმარების სათხოვნელად (1711 წ.), ქვეყნის გამგედ უმცროსი ძმა — თეიმურაზი დატოვა (დახმარების ლოდინში დავითმა ხუთი წელი დაჰყო ისპაჰანში) და, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, ამ ხნის მანძილზე კახეთის სამეფოს ფაქტობრივად ანა განაგებდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ეპიტაფიაში იგი მოხსენებულია, როგორც „ქართლისა და კახეთის შეერთების მოსურნე". განკერძოებისაკენ მისწრაფების საერთო ვითარებაში ქვეყნის გაერთიანების საჭიროების შეგნება და ქადაგება ანას პროგრესულ აზროვნებაზე, მის სწორ პოლიტიკურ ალღოზე მეტყველებს.

ხანგრძლივი ყოფნა უცხოობაში, საქრისტიანოსა და სამუსულმანოში მიმოფანტული ჯალაბი, უცხო მიწაში დარჩენილი პატარა ლუარსაბი, მშობელი ერისაგან დაუტირებელი გვირგვინოსანი თანამეცხედრე... აი, რა ცოდვა ამძიმებდა ანას სულს, გულმხურვალედ რომ გვევედრება შენდობის თქმას. ეს „ცოდვა" სპარსეთში ყოფნის დროს სარწმუნოების შეცვლაც უნდა იყოს. მართალია, ეს მოძალადეთა მოსაჩვენებლად ჩადენილი ფორმალური აქტი იყო, მაგრამ სიტყვიერად ხომ მაინც უარყო ქრისტე. ამით გამოწვეული სინანული და სინდისის ქენჯნა ისმის მისი ეპიტაფიიდანაც: „ხოლო ჩუენ გარდასვლითა მცნებათა შენთათა მივეცენით სიკვდილსა და ხრწნილებითა დავისაჯენითო". — მიმართავს იგი შემოქმედს.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ იწოდება ანა „ყოფილ ანასტასიად". სახელის შეცვლა ხდებოდა მონაზვნად (თუ ბერად) აღკვეცის შემთხვევაში, მაგრამ ასეთი რამ მის ცხოვრებაში არ მომხდარა. იქნებ სპარსეთში გაგზავნამდე ეძახდნენ მას ანასტასიას, ხოლო როცა მაჰმადიანობა მიაღებინეს, სახელი შეუცვალეს, როგორც აუცილებელი პირობა.

ანას საფლავი შეუმკიათ მის ასულს — ქართლის დედოფალ ელენესა და გვირგვინოსან სიძეს — იესეს 1716 წელს, „ხოლო წელსა ჩღივ მოკუდა გაზაფხულს დედოფალი ანნა. მოვიდნენ იესე და ელენე მოტირლად პატარძეულს და დაფლეს ანნა ალავერდს" (ვახუშტი ბაგრატიონი). იგივე თარიღია ამოკვეთილი საფლავის ქვაზე.

რა იცოდა ანამ, რომ მის მიერ გამთბარ ფუძეზე ორიოდე წლის შემდეგ გაჩნდებოდა ყრმა, რომელიც მის ნატვრა-ოცნებას სინამდვილედ აქცევდა, რომ მამაკაცთა შორის საკვირველება „პატარა კახი გააერთიანებდა ქართლსა და კახეთს, ალაგმავდა მომხდურთა თარეშს, ხოლო შემდეგ ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით ქართველ ხალხს საუკუნო მშვიდობას დაუმკვიდრებდა. ეს რომ სცოდნოდა, არც ამ მწარე ამონაკვნესს დაგვიტოვებდა.

გ. ნაროზაული

ახმეტის რაიონი.

# ჩვენი სამზარეულო

## ქათამი არაჟნითა და ბრინჯით

აქნილი ქათმის ყოველ ნაწილს მოაყარეთ მარილი, შავი პილპილი, წაუსვით დანაყილი ან გატარებული ნიორი, დაალაგეთ ტაფაზე, მოასხით 500 გრამი არაჟანი და დადგით გრილ ადგილზე. ერთი საათის შემდეგ შედგით გაზქურაში, როცა ქათამი შეიბრაწება გამოიღეთ, ფრთხილად გადმოალაგეთ თეფშზე, ტაფის ძირი მოფინეთ წინასწარ მოხარშული და გაწურული ბრინჯით (1 ჩაის ჭიქა ბრინჯი, ძალიან არ უნდა მოიხარშოს) ზემოდან მოაწყეთ ქათმის ნაჭრები და კვლავ შედგით გაზქურაში 10-15 წუთით. შემდეგ ძალიან ფრთხილად გადმოიტანეთ (ნაწილ-ნაწილ) შესაფერის ლანგარზე ან გაშლილ თეფშზე ისე, რომ ბრინჯი კვლავ ძირში მოექცეს.

მარინე მახარაძე

## ტორტი „ქალის თითები"

შედგით ცეცხლზე წყალი, ჩაუმატეთ კარაქი და როცა წყალი ადუღდება, ჩაყარეთ პურის ფქვილი, თანაც ურიეთ. ცომი შეაგრილეთ და თანდათანობით ჩაახალეთ კვერცხი.

მოხარშული ცომი დაანაწილეთ, დადეთ ცხიმწასმულ ტაფაზე (მოგრძო ძეხვის ფორმის) და შედგით გამოსაცხობად.

კრემისათვის აიღეთ გაციებული არაჟანი და ათქვიფეთ შაქრის ფხვნილთან ერთად.

გამომცხვარი „ქალის თითები" ამოავლეთ კრემში და დააწყეთ თეფშზე. ზემოდან მოაყარეთ კაკაო ან დაფხეკილი შოკოლადი.

ცომისათვის საჭიროა: 1,5 ჭიქა წყალი, 150 გრ კარაქი, 1,5 ჭიქა პურის ფქვილი, 6 კვერცხი.

კრემისათვის საჭიროა: 2 ჭიქა არაჟანი, 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი.

## ნამცხვარი „კაკალი"

ათქვიფეთ კვერცხი შაქრის ფხვნილთან ერთად. დაუმატეთ გამდნარი და შეგრილებული კარაქი. შემდეგ ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ნიგოზი და ფქვილი. ცომისგან დაამზადეთ ბურთულები, დააწყვეთ კარაქწასმულ ტაფაზე, ხელით ოდნავ გააბრტყელეთ და შედგით ღუმელში გამოსაცხობად, სანამ არ შეყვითლდება.

მასალა: 3 კვერცხი, 1/2 ჭიქა გამდნარი კარაქი, 200 გრ შაქრის ფხვნილი, 150 გრ ნიგოზი. 200-250 გრ პურის ფქვილი.



## წავიდა ჩვენგან მეგობარი

# ალარ დაგვიწერს ნარკვევებს...

იმ გლოვის დღეებში, სანამ დაკრძალავდნენ, „ლიტერატურული საქართველო“ იუწყებოდა, გარდაიცვალა ცნობილი პოეტი ეთერ სახვაძეო. მისი სიკვდილი მძიმედ მაწვა გულს, მაგრამ ეთერს ცნობილი პოეტი რომ უწოდეს, მესიამოვნა. თვითონ რომ ეს გაეგონა, რასაც სიცოცხლეში არ მოსწრებია, ვიცი, ფერმკრთალი ლაწვები შეუფერადდებოდა და თითქოს მას არ ეხებაო, ისე დაიჭერდა თავს. ვერ ეტყოდი, რა კარგად დაგიწერიაო, ვერ შეუქებდი ნარკვევს თუ ლექსს, „ოჰ, კარგად კი არა“... — იტყოდა და სხვა რასმეზე დაიწყებდა საუბარს.

თავის თავზე ყოველთვის ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე იყო. არასდროს სხვებისგან არ გამოარჩევდა თავს, ყოველთვის უკან იდგა და სხვებს გზას უთმობდა — ერთი ჩვეულებრივი ჟურნალისტი ვარო.

ჟურნალისტობა „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიწყო. მე რომ იქიდან წამოვედი, ის მივიდა. ისე რომ, ერთმანეთს მაშინ ვერ შევხვდით. „ახკომი“ მაშინ ნიჭიერი ჟურნალისტებით იყო მდიდარი. ეთერის კარგი სკოლა დახვდა. რადგან ახკომელი გახდა და მისი პირველი ნარკვევებით მოვიხიბლე, დაუსწრებლად შემიყვარდა. მერე გავიცანი და „საქართველოს ქალში“ მოვიწვიეთ. სიამოვნებით მოდიოდა. არასდროს უარი არ უთქვამს შემოთავაზებულ თემაზე. მეც ვგრძნობდი, რა იტაცებდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ვგზავნიდით, თანაც ღელვით ველოდი, როგორ მოივლიდა მთასა თუ ბარს, როგორ მოიწონებდა იქაურობას და რას მოგვიტანდა. მოჰქონდა დაუგვიანებლად, თავის დროზე, დადებდა წერილს და იტყოდა: „ნახე, როგორც გენებოს, ისე მოექეციო“. ან როგორ უნდა მოვქცეოდი ეთერის ნაფიქრალს, ნააზრევს, ათჯერ აწონილს და გაზომილს, გრძნობითა და გონებით გამოძერწილ სურათებს, სახეებს, ძარღვიანი ქართულით დახატულ საქართველოს და ქართველებს!

არასდროს არ იტყოდა, ახლა ზამთარია, ცივა, ან გზა არ იქნება, ან სადლაც ჩავრჩებიო. მიდიოდა ყველგან, სადაც მანქანასაც ვერ გაევლო და სიძნელეების გადალახვით კმაყოფილი რჩებოდა, სულით მდიდრდებოდა, თითქოს ამით იმ შეჩენილ ავადმყოფობას ჯაბნიდა, რომელიც შეძრომოდა და ნელნელა ღრღნიდა.

არასდროს არ იტყოდა, რომ რაიმე ტკიოდა, თავსაც არ უტყდებოდა ალბათ. და ამიტომაც უძლებდა ამ უჩინარ სენს, დადიოდა ყველგან და მზად იყო კვლავ ევლო ქვეყნის თუნდ დასალიერში, ოღონდ ენახა, განეცადა, შეეგრძნო, ამაღლებულიყო, და სხვებისთვისაც იგივე განცდები გადაედო.

მშურდა ადამიანების, რომლებიც ყოველდღე მის გვერდით ტრიალებდნენ, მშურდა მისი მეგობრების, რა ბედნიერები იყვნენ ისინი ეთერის სიახლოვით! ალბათ, ამას მაშინ ვერ გრძნობდნენ, როგორც ახლა იგრძნობენ.

ახლა კი ერთნაირად ვართ ყველანი — ახლობლებიც და ჩვენც. ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ ხშირად გავიხსენოთ მისი კაი ქალობა და სიდინჯე, მისი განუშორებელი ღიმილი და ხიმშვიდე, მისი პირდაპირობა და სიმართლის სიყვარული (ფარისევლობა და მაამებლობა ზიზღს გვრიდა და გაურბოდა). მისი ხასიათები მის ნარკვევებშია. დავიდოთ წინ და ვიკითხოთ, ვაი, რომ აწი აღარ დაგვიწერს ნარკვევებს!

ლია კაკაბაძე

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58. საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5.02.88 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.03.88 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საარღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 167.000. შეკვ. 323, უე 04724. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58.

მხატვარი მურთაზ აბაშიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სიდედრის ბარათი უხეირო სიძეს

ასე ჩვენ ვერ მოვრიგდებით, ჩვენო სიძევ ბატონო,
ადრე შარვალგახეულო, დღეს კი, „ვოლგის“ პატრონო.
ქალი მოგეც ქარაშოტი, შენატროდა ქვეყანა,
რა მზითევი გავატანე, (სჯობდა გადამეყარა).
რწყილზე ფეხს არ აბიჯებდი, ახლა გახდი დიდგული,
იცოტავე პიანინო, დაიწუნე „ჟიგული“.
— ხელის გულზე კვერცხს შეგიწვავთ! — გვპირდებოდი თავიდან,
იმის მერე, შე ქაქანავ, ათი წელი გავიდა.
კვერცხის შეწვას, ნეტავ, ვინ გთხოვს, უმადურო, მეშჩანო,
ოღონდ მე და ჩემი შვილი ცოცხლად აღარ შეგვჭამო,
ოჯახს გირჩენ, თავს გევლები, გაჭმევ, გაცმევ, კახურავ,
ისე ვატყობ, მგონი მალე გადაგექცე მსახურად.
თუმც იმედი არ მაქვს შენგან აშ სიკეთის დანახვის,
დედაშენი არ გახსოვს და მე რა ხეირს დამაყრი?
დაგიზარდე პატარები, აკვანი არც გინახავს,
გიყურებენ შვილები და ვერც კი გცნობენ ვინა ხარ.
საწყალ მშობლებს რომ მობეზრდი, შეგიკედლე ზედსიძედ,
იმის მერე მე და ჩემს ქმარს გვეჩხუბები ზედიზედ.
ჩემზედ ჰყვირი გიჟიაო, (ესმის ქუჩას, გაზონებს)
შენისთანა სიძის ხელში კიდევ კარგად ვაზროვნებ.
მუქთად ცხოვრობ, არ ატოკებ არც თავსა და არც ხელებს,
ძმაკაცებში ჩემზე უხამს ანეგდოტებს ავრცელებ...
ეს რა ქაჯი ბაბო გყავთო, ბავშვებს ჩემზე აქეზებ,
შენს თავს რატომ არ უყურებ? ეშმაკს გავხარ სახეზე.
გაზულუქდი, ლოთობ, შფოთობ, თავი არ გაქვს არაფრის,
ძმაკაცები გეძახიან „ბოსიაკს“ და „შარაფისტს“.
როდის იყო ჩვენში სიძეს არ უყვარდა სიდედრი?
ხარ მიზეზი ინფარქტის და ჩემი თმების სითეთრის.
დედაშენი, მამაშენი გემუქრება სახრითა,
შვილს ვფიცავარ, მითხრეს დღესვე გააგდეთო სახლიდან.
შვილისა და შვილიშვილთა სიყვარული რომ არა,
სახლში როგორ გაგაჩერებ, მართლა ტიკო-ტომარავ?
გაგაგდებდი, უკვე შენი რიდიც არ მაქვს პაწია,
მაგრამ ჩემი ქმარი მიშლის, თავმოყვარე კაცია.
დაიხსომე, სიძევ, ჩემო, გაგხდომივარ ვიდრე მტრად,
ან ის „ვოლგა“ დამიბრუნე, ან მიწამე სიდედრად!
დავიღალე, აღარ მინდა შენთან ჩხუბი, კამათი,
თუ გინდა რომ შეგირიგდე, მომილოცე რვა მარტი!

სიდედრის ბარათი წაიკითხა ვანო ცინცაძემ

## უცხოური იუმორი

# შექსპირის ტელეფონი

ინგლისური ენის ლექციაზე მისს ბრაუნი სტუდენტებს ინგლისელ მწერლებზე მოუთხრობდა.

— ვის შეუძლია მესაუბროს საკმაოდ ცნობილ ინგლისელ მწერალზე, რომელსაც ყველა იცნობს? — ეკითხება იგი.

— მე შემიძლია; შექსპირი. — პასუხობს ჯეინი.

— სწორია, ჯეინ. ახლა ვინ მეტყვის, რომელ წლებში მოღვაწეობდა შექსპირი? შეგიძლია მიპასუხო, რიჩარდ?

— არა, მისს ბრაუნ.

— არ წაგიკითხავს, რიჩარდ, სახლში, თუ საახალწლოდ ცოტა იზარმაცე?

— წავიკითხე, მისს ბრაუნ.

— კეთილი, მაშ რატომ არ იცი? გადაშალე წიგნი და წაიკითხე, რომელ წელს მოღვაწეობდა შექსპირი.

რიჩარდმა გადაშალა წიგნი და წაიკითხა:

— წიგნში წერია: შექსპირი — 1564.

— რატომ არ დაიმახსოვრე, რიჩარდ?

— ოჰ, როგორ არ დავიმახსოვრე. მაგრამ 1564 მე შექსპირის ტელეფონის ნომერი მეგონა და ახალი წლის მილოცვას ვაპირებდი, — უთხრა რიჩარდმა.

## დიალოგები

— დღეს ექიმთან ვიყავი მეხსიერების დაქვეითების გამო

— გაგიკეთა რაიმე?

— კი, გამაფრთხილა ფული წინასწარ გადაიხადეო!

* * *

მეუღლე გაბრაზებულ ცოლს: — ხედავ, რა გრძნობით გიმღერი, ძვირფასო?

ცოლი: — ვხედავ, შენ რომ გრძნობა გაგაჩნდეს ახლა მაინც არ იმღერებდი.

ინგლისურიდან თარგმნა ლალი ხავთასმა



ეროვნული ბიბლიოთეკა